პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

სამშაბათი
5 სექტემბერი
1939 წ.
№ 204 (5604)
ფასი 10 კაპ.

დ ღ ე ს გ ა ზ ე თ შ ი

უზრუნველვყოთ სოციალისტური მეცხოველეობის მძლავრი აღმავლობა (მოწინავე)

საქ. ალკკ ცენტრალური კომიტეტის ლოზუნგები ახალგაზრდობის XXV საერთაშორისო დღისათვის (1-ლი გვ.)

მოსკოვი — სვერდლოვსკის რაიონი — სევასტოპოლი — მოსკოვი (1-ლი გვ.)

გიგანტური სამკუთხედით სუბსტრატოსფეროში (1-ლი გვერდი)

განვავითაროთ საზოგადოებრივი მეცხოველეობა კოლმეურნეობებში (მე-2 გვ.)

ვლ. კობახიძე — საზოგადოებრივი მეცხოველეობის შემდგომი აღმავლობისათვის (ფელეტონი. მე-2 გვ.)

ბოლშევიკურად აღვზარდოთ პარტიის [illegible] კადრები (მე-3 გვ.)

ანა ფურმანოვა — ვ. ი. ჩაპაევის საბრძოლო [illegible] (ფელეტონი. მე-3 გვ.).

უცხოეთში:

საომარი მოქმედება გერმანიასა და პოლონეთს შორის (მე-4 გვ.)

ჰავასის სააგენტო საომარი მოქმედების დაწყების შესახებ (მე-4 გვ.)

# უზრუნველვყოთ სოციალისტური მეცხოველეობის მძლავრი აღმავლობა

**ჩ**ვენი პარტია, ამხანაგი სტალინი ყოველდღიურად ზრუნავენ კოლმეურნე გლეხობის კეთილდღეობის შემდგომი ამაღლებისათვის, მისი შეძლებულობის განუწყვეტელი ზრდისათვის, მთელი საბჭოთა ხალხის ბედნიერებისათვის. ამ ზრუნვის საუკეთესო გამოხატულებას წარმოადგენენ ის უმნიშვნელოვანესი დადგენილებანი, რომლებიც ამ ცოტა ხნის წინათ მიიღეს ჩვენმა პარტიამ და მთავრობამ კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი მიწების გაფლანგვისაგან დაცვისა და საზოგადოებრივი მეცხოველეობის შემდგომი სწრაფი განვითარების უზრუნველსაყოფად.

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს მიმდინარე წლის 8 ივლისის დადგენილება „კოლმეურნეობებში საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარების ღონისძიებათა შესახებ“ ითვალისწინებს მთელ რიგ რადიკალურ ღონისძიებებს საკოლმეურნეო მეცხოველეობის ფერმების გამრავლებისა და განვითარებისათვის და მეცხოველეობის საკვები ბაზის ყოველმხრივი გაუმჯობესებისა და გაფართოებისათვის; ამასთან, ეს დადგენილება სპობს ხორცის სავალდებულო ჩაბარების მანამდე არსებულ სისტემას, რომელიც სერიოზულ დაბრკოლებას უქმნიდა საკოლმეურნეო მეცხოველეობის შემდგომი განვითარების საქმეს.

კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარების ღონისძიებებზე პარტიისა და მთავრობის 8 ივლისის დადგენილების ურყევად განხორციელება უზრუნველჰყოფს საზოგადოებრივი მეცხოველეობის გაუგონარ აღმავლობას, ჩვენი კოლმეურნეობების სიმდიდრის არნახულ ზრდას. ამიტომაა, რომ ბრძოლა ამ დადგენილების ცხოვრებაში ზანუხრელად გატარებისათვის წარმოადგენს მთელი ჩვენი პარტიის საქმეს, ყოველი პარტიული და არაპარტიული ბოლშევიკის ღირსების საქმეს.

ორდენოსან საქართველოს მნიშვნელოვანი წარმატებები აქვს კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარების საქმეში. ჩვენში ცოტანი როდი არიან ისეთი კოლმეურნეობანი, რომლებსაც აქვთ საუკეთესო ფერმები, ჰყავთ ჯიშიანი საქონელი, მოეპოვებათ პირუტყვისათვის საუკეთესო საკვები ბაზა. 1939 წლის პირველი ივლისისათვის მეცხოველეობის საკოლმეურნეო ფერმების რაოდენობამ საქართველოში 3.521-ს მიაღწია. ამათგან 325 ფერმა ჩამოყალიბდა მიმდინარე წლის პირველ ნახევარში. სოციალისტური მეცხოველეობის განვითარების საქმეში მიღწეულ მნიშვნელოვან წარმატებებზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ საქართველოდან სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაში მონაწილეობის უფლება მეცხოველეობის დარგში მოიპოვა 74 კოლმეურნეობამ და მეცხოველეობის 178 მოწინავე ადამიანმა.

მაგრამ მიღწევებთან ერთად მეცხოველეობის განვითარების საქმეს ჯერ კიდევ მთელი რიგი უაღრესად სერიოზული ნაკლოვანებანი ახასიათებს. კოლმეურნეობათა საკმაოდ დიდ ნაწილს მეცხოველეობის არავითარი ფერმები არ გააჩნია, ხოლო ზოგან აქვთ პატარა, მეტად უმნიშვნელო ფერმები, რომლებიც კოლმეურნეობებს რაიმე მნიშვნელოვან შემოსავალს არ აძლევენ. საქართველოში 1939 წლის პირველი ივლისისათვის საზოგადოებრივი მეცხოველეობის ფერმები არ ჰქონდა 1.941 კოლმეურნეობას, ანუ კოლმეურნეობათა საერთო რიცხვის 47,2 პროცენტს.

ეს ციფრი მეტად დამაფიქრებელია. ის მოწმობს იმას, რომ ჩვენი კოლმეურნეობების მნიშვნელოვანი ნაწილი საკმაო ყურადღებით არ ეპყრობა სოციალისტური მეცხოველეობის განვითარების საქმეს და არ იყენებს უდიდეს შესაძლებლობებს, რომლებიც საქართველოში მოიპოვება მეცხოველეობის აღმავლობისათვის. ასეთი მდგომარეობის გაგრძელება შემდგომში შეუწყნარებელია. მზიანი საქართველო მდიდარია მცენარეულობით, მინდვრებითა და მდელოებით. ყველა შესაძლებლობა არსებობს იმისათვის, რომ შევქმნათ მეცხოველეობის მტკიცე საკვები ბაზა და გავამრავლოთ საკოლმეურნეო ჯოგები.

ამასწინათ საბჭოთა უკრაინის მეცხოველეობის მუშაკებმა, რომლებიც შეიკრიბნენ პარტიისა და მთავრობის 8 ივლისის დადგენილების განსახილველად, მოწოდებით მიმართეს საბჭოთა კავშირის ყველა კოლმეურნესა და მეცხოველეობის ფერმების ყველა მუშაკს — ფართოდ გაშალონ სოციალისტური შეჯიბრება ურთიერთ შორის და მიაღწიონ კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი მეცხოველეობის სწრაფ აღმავლობას. უკრაინელთა მოწოდების საპასუხოდ მოძმე საბჭოთა აზერბაიჯანის მეცხოველეობის მუშაკებმა კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარებაში უკეთესი წარმატებებისათვის სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვიეს სომხეთისა და საქართველოს კოლმეურნეები, მეცხოველეობის სპეციალისტები და მეცნიერ მუშაკები.

საქართველოსა და სომხეთის კოლმეურნეებისადმი გაგზავნილ წერილში აზერბაიჯანელები სწერენ:

„ძვირფასო ამხანაგებო, პარტიისა და მთავრობის დადგენილება ერთსულოვნად მოიწონეს საბჭოთა აზერბაიჯანის კოლმეურნეებმა და მეცხოველეობის ყველა სპეციალისტმა. ეჭვი არ გვეპარება იმაში, რომ საქართველოსა და სომხეთის მოძმე საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კოლმეურნეებიც უდიდესი სიხარულით შეხვდნენ ამ დადგენილებას. ჩვენს წინაშე დასახულია უდიდესი ამოცანა. როგორც პარტიული და არაპარტიული ბოლშევიკებს შეჰფერის, ჩვენ ვკისრულობთ საპატიოდ შევასრულოთ დადგენილება, მივაღწიოთ საკოლმეურნეო მეცხოველეობის ახალ აღმავლობას, უზრუნველვყოთ სულ მცირე სამი ფერმის მოწყობა თვითეულ კოლმეურნეობაში და უახლოესი ერთი-ორი წლის განმავლობაში ბევრად გავადიდოთ პირუტყვის სულადობა, მისი პროდუქტიულობა და გავაუმჯობესოთ ჯიშიანობა“.

საქართველოს კოლმეურნეები, მეცხოველეობის სპეციალისტები და მეცნიერ მუშაკები უდიდესი სიხარულით შეხვდნენ აზერბაიჯანელთა გამოწვევას. კოლმეურნეებმა თავიანთ საერთო კრებებზე დაამუშავეს აზერბაიჯანის კოლმეურნეთა და მეცხოველეობის სპეციალისტთა წერილი, ერთსულოვნად მიიღეს მათი გამოწვევა და თავის მხრივ იკისრეს ახალი, დამატებითი ვალდებულებანი.

საქართველოს ბევრ კოლმეურნეობაში უკვე შეუდგნენ ენერგიულ მუშაობას პარტიისა და მთავრობის დადგენილების განუხრელად განხორციელებისათვის. კოლმეურნეები კონკრეტულად, საქმით ზრუნავენ იმაზე, რომ წარმატებით გადასჭრან საკვები ბაზის შექმნის საკითხი, გააუმჯობესონ საქონლის ჯიში, მოამზადონ პირუტყვისათვის კარგი საზამთრო ბინები. სოციალისტური მეცხოველეობის ახალი აღმავლობისათვის პირველი ნაბიჯების გადადგმას უკვე იწყებენ ჩვენი კოლმეურნეობები, მაგრამ მთავარი სამუშაო, მუშაობის ნამდვილი, ბოლშევიკური გაშლა მხოლოდ ახლა იწყება.

მოძმე აზერბაიჯანის კოლმეურნეებთან შეჯიბრებაში გამარჯვებისათვის ბრძოლა საქართველოს კოლმეურნეების ღირსების საქმეა. დაე, გამრავლდნენ საკოლმეურნეო ჯოგები ორდენოსან საქართველოში, გაიზარდოს ჩვენი კოლმეურნეობების ხვავი და ბარაქა!

## ორთქმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის პარტიულ-სამეურნეო მუშაკთა აქტივის კრება

გუშინ, 4 სექტემბერს, თბილისის სტალინის სახელობის ორთქმავალ-ვაგონ-სარემონტო ქარხნის პარტიულ-სამეურნეო მუშაკთა აქტივის კრების მეორე სხდომაზე გრძელდებოდა კამათი ამხ. ალ. ხოჯაშვილის მოხსენების ირგვლივ. ამ სხდომაზე კამათში გამოვიდნენ ამხ. ვ. სამთელაძე (ამწყობი საამქროს ოსტატი), შ. მიქიაშვილი (ქარხკომის თავმჯდომარის მოადგილე), ა. აბრამიანი (კადრების განყოფილება), ნ. გაბისკირია (სამჭედლო საამქროს უფროსი), ან. გამივი (ტექნიკური უშიშროების ინსპექტორი), შ. კომაძე (ქარხნის კომკავშირული კომიტეტის მდივანი), არ. დოლიძე (სამგზავრო-სავაგონო საამქროს უფროსი), ხ. ხუბულური (სამჭედლო საამქროს პარტბიუროს მდივანი), ლ. გოგიძე (ძალთა დანადგარების საამქროს უფროსი), ვლ. ქაფიანიძე (საბარგო-სავაგონო საამქროს უფროსი) და ივ. სელიხოვი (საქვაბე საამქროს ბრიგადირი).

კრებაზე შემაჯამებელი სიტყვით გამოვიდა ქარხნის პარტიული ორგანიზაციის ბიუროს მდივანი ამხ. დ. კუჭავა.

დასასრულ საბოლოო სიტყვა წარმოსთქვა ქარხნის ტექნიკურმა დირექტორმა ამხ. ალ. ხოჯაშვილმა, რომელმაც კამათში გამოსულ ამხანაგებს ამომწურავი პასუხი გასცა.

კრებამ ერთხმად მიიღო კონკრეტული ღონისძიებები ქარხნის მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებათა ლიკვიდაციისა და მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის.

## ქ რ ო ნ ი კ ა

სსრ კავშირის სახკომსაბჭომ ამხ. **ნ. მ. რაჟნინი** დანიშნა სსრ კავშირის გემთმშენებლობის მრეწველობის სახალხო კომისრის მოადგილედ.

სსრ კავშირის სახკომსაბჭომ ამხ. **ი. გ. ბოგაევი** დანიშნა სსრ კავშირის თევზის მრეწველობის სახალხო კომისრის პირველ მოადგილედ.

# საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი — ამხანაგ სტალინს სსრ კავშირის სახკომსაბჭო — ამხანაგ მოლოტოვს სსრ კავშირის თავდაცვის სახალხო კომისარიატი — ამხანაგ ვოროშილოვს

## პ ა ტ ა კ ი

ა. წ. 28 აგვისტოს ჩვენ, სამოქალაქო საჰაერო ფლოტის მუშაკებმა — პირველმა პილოტმა ნ. პ. შებანოვმა, მეორე პილოტმა ვ. ა. მატვეევმა და ინჟინერ-რადისტმა ნ. ა. ბაიკუზოვმა — ორმოტორიანი თვითმფრინავით „სტალ-7“, რომელზედაც დადგმულია ორი მოტორი, 960 ცხენძალისა თითო, უტვირთოდ შევასრულეთ ძირდაუშვებელი გადაფრენა 5.068 კილომეტრი სიგრძის სამკუთხედით: მოსკოვი, მ. ბრუსიანსკოე (სვერდლოვსკის ოლქი), სევასტოპოლი, მოსკოვი.

ჩვენ ეს მანძილი 12 საათსა, 30 წუთსა და 56 წამში გავიარეთ 404,936 კილომეტრი საშუალო სიჩქარით საათში.

ამით გადაჭარბებულ იქნა ამ კლასის საერთაშორისო რეკორდი, დამყარებული 1938 წლის 8 ივნისს ფრანგი მფრინავი მ. როსის მიერ ორმოტორიანი თვითმფრინავით „ამიო-370“, რომელზედაც დადგმული იყო 960 ცხენძალის მოტორები ისპანო-სუიზე და რომლის ფრენის სიჩქარე უდრიდა 400,810 კილომეტრს საათში.

მთელი მასალა ჩვენი გადაფრენის შესახებ განხილული და დამტკიცებულია სსრ კავშირის ვ. პ. ჩკალოვის სახელობის ცენტრალური აეროკლუბის სასპორტო კომისიის მიერ 1939 წლის 3 სექტემბერს.

განვაგრძობთ შემდგომ მუშაობას მეტი ტვირთით გაფრენისათვის მოსამზადებლად.

თვითმფრინავ „სტალ-7“-ის ეკიპაჟი **შებანოვი.**
**მატვეევი.**
**ბაიკუზოვი.**

# მოსკოვი — სვერდლოვსკის რაიონი — სევასტოპოლი — მოსკოვი

## სისწრაფის ახალი რეკორდი 5.000 კილომეტრის მანძილზე

1939 წლის 28 აგვისტოს თვითმფრინავ „სტალ-7“-ის ეკიპაჟმა ორდენოსანი პილოტის ნ. პ. **შებანოვის** (თვითმფრინავის მეთაური), მეორე პილოტის, ორდენოსანი ვ. ა. **მატვეევის** და ბორტ-რადისტის ინჟინერ ნ. ა. **ბაიკუზოვის** შემადგენლობით მოახდინა ამ თვითმფრინავით გაფრენა სიჩქარეზე სამკუთხედით მოსკოვი— სვერდლოვსკის რაიონი — სევასტოპოლი — მოსკოვი. გადაფრენის საერთო მანძილი 5.068 კილომეტრი, რაც გავლილია 12 საათსა, 30 წუთსა და 56 წამში.

ამ ტრასზე ეკიპაჟმა დაამყარა საშუალო სისწრაფე 404,936 კილომეტრი საათში.

5.000 კილომეტრზე სწრაფი ფრენის საერთაშორისო რეკორდი, რომელიც 1938 წლის 8 ივნისს დაამყარა ფრანგმა მფრინავმა როსიმ, საათში 400,810 კილომეტრს უდრის.

თვითმფრინავ „სტალ-7-ის“ ეკიპაჟის გაფრენის შესახებ მთელი მასალა დასამტკიცებლად გადაეცა ვ. პ. ჩკალოვის სახელობის სსრ კავშირის ცენტრალური აეროკლუბის საავიაციო-სასპორტო კომისიას. (საკდესი).

# 405 კილომეტრი სისწრაფით საათში

## სარეკორდო გადაფრენის სტარტი და ფინიში

28 აგვისტოა. გრილი და წყნარი ღამეა. შჩელკოვის სასტარტო გორაკზე პროჟექტორის მოელვარე შუქით გაბრწყინებული სდგას ახალი თორმეტადგილიანი თვითმფრინავი „სტალ-7“. მისი საფრენი წონა 11.820 კილოგრამია! ამ მანქანით გათენებისას სამი სახელოვანი მფრინავი გაემართება რეისში, რომ სისწრაფის რეკორდი დაამყარონ.

დილის 3 საათი და 30 წუთია. აეროდრომზე მოდის თვითმფრინავ „სტალ-7-ის“ ეკიპაჟი: ამხ. შებანოვი, მატვეევი და ბაიკუზოვი. მათ მიჰყვებიან: აეროფლოტის უფროსი, საბჭოთა კავშირის გმირი ამხ. მოლოკოვი, მისი მოადგილე — თვითმფრინავების შემმოწმებელი კომისიის თავმჯდომარე ამხ. კარტუშევი, აეროფლოტის პოლიტსამმართველოს უფროსი ამხ. სემიონოვი და სამოქალაქო ავიაციის სხვა მუშაკები.

სსრ კავშირის ცენტრალური აეროკლუბის სასპორტო კომისრების მიერ თვითმფრინავზე დადგმულია საკონტროლო ხელსაწყოები — ბაროგრაფები. ამხ. შებანოვი, მატვეევი და ბაიკუზოვი, თბილ ბეწვეულ ტანსაცმელში გამოწყობილნი, მანქანაში სხდებიან.

5 საათია. მართავენ მოტორებს. ამხ. შებანოვი, რომელიც თვითმფრინავის მარცხენა შტურვალთან ზის, აძლევს აირს. ფოლადის ფრინველი ბეტონის ხალიჩაზე მიგოგმანებს. მხოლოდ 35 წამს მისრიალებს იგი. 5 საათსა და 15 წუთზე „სტალ-7“ უკვე ჰაერშია.

5 საათსა და 32 წუთზე, 2.000 მეტრ სიმაღლეზე, მანქანამ გადაუარა პირველ საკონტროლო პუნქტს— შტერნბერგის სახელობის ასტრონომიულ ინსტიტუტს — და სვერდლოვსკისაკენ აიღო კურსი.

12 საათის, 30 წუთისა და 56 წამის შემდეგ თვითმფრინავი ისევ გამოჩნდა შტერნბერგის სახელობის ინსტიტუტის თავზე და ამრიგად უზარმაზარი საჰაერო სამკუთხედი შემორკალა, რომლის სიგრძე 5.000 კილომეტრს აღემატება. შემოხაზა რა დიდი წრე ინსტიტუტის თავზე, მანქანა ფრუნზეს სახელობის ცენტრალურ აეროდრომზე დაეშვა. თვითმფრინავიდან კიბით ჩამოდიან შებანოვი, მატვეევი და ბაიკუზოვი.

სასპორტო კომისრები ინჟინრებთან ერთად ამოწმებენ პლომბებს ბაროგრაფებსა და ავზებზე. ყველაფერი რიგზეა.

ახალი სამგზავრო მრავალადგილიანი თვითმფრინავის „სტალ-7“-ის გამოცდა დამთავრდა. საბჭოთა ავიაციამ ახალი რეკორდი მოიპოვა.

404.936 კილომეტრი საათში — აი ჩვენი სამშობლოს იმ სამი ერთგული შვილის გადაფრენის შედეგი, რომელნიც ყოველ წუთს მზად არიან სატრანსპორტო თვითმფრინავიდან საბრძოლო თვითმფრინავზე გადასხდნენ. (საკდესი).

# თვითმფრინავ „სტალ-7“-ის ეკიპაჟი

თვითმფრინავ „სტალ-7“-ის მეთაურის ნიკოლოზ პეტრეს-ძე შებანოვის სახელი ცნობილია არა მარტო ჩვენს ქვეყანაში, არამედ შორს, მის საზღვრებს გარეთაც. შებანოვს აქვს 20 წლის საფრენოსნო პრაქტიკა, აქედან 14 წლის განმავლობაში ის მუშაობდა მოსკოვ-კენისბერგის საერთაშორისო ხაზზე.

ამხ. შებანოვი დაიბადა 1899 წელს აგრონომის ოჯახში, ვორონეჟის ოლქის უსმანის მაზრის სოფელ პროკუროვკაში. 18 წლის ახალგაზრდა იყო, როდესაც საავიაციო კურსებზე შევიდა სასწავლად. ის როგორც მფრინავ-ავიაგამანადგურებელი მონაწილეობდა ტულის დაცვაში, დენიკინის განადგურებაში, აღმოსავლეთის ფრონტზე მომხდარ ბრძოლებში.

1923 წელს შებანოვი სახაზო მფრინავად ინიშნება საზოგადოება „დერულუფტში“. აქ შებანოვმა თავისი პირველი მილიონი კილომეტრი მიმოიფრინა; ის ფრინავდა მთელი წლის განმავლობაში, დღისითაც და ღამითაც, რა დროც უნდა ყოფილიყო.

მთავრობამ ნიკოლოზ პეტრეს-ძე შებანოვი წითელი ვარსკვლავის ორდენით და ლენინის ორდენით დააჯილდოვა.

თვითმფრინავ „სტალ-7“-ის მეორე პილოტმა, ვლადიმერ არსენის-ძე მატვეევმა სამოქალაქო საჰაერო ფლოტში 14 წლის მუშაობის განმავლობაში ერთ მილიონ კილომეტრზე მეტი მიმოიფრინა.

ის დაიბადა 1895 წელს იაროსლავლში. მამა ადრე მოუკვდა და საგალანტერიო მაღაზიაში დაიწყო მუშაობა. იმპერიალისტური ომის დროს საავიაციო სკოლა დაამთავრა, იბრძოდა სამხრეთ - დასავლეთის ფრონტზე. აქ მას ოქტომბრის რევოლუციამ მოუსწრო. ის ხდება წითელი არმიის მფრინავი-ავიაგამანადგურებელი. კოლჩაკის განადგურების შემდეგ მატვეევი ავიასკოლაში მუშაობდა, მძიმე თვითმფრინავებს ეცნობოდა, სამოქალაქო საჰაერო ფლოტის სახაზო მფრინავად მუშაობდა.

ამხ. მატვეევი დაჯილდოებულია ლენინის ორდენით.

ნიკოლოზ ბაიკუზოვი 4 წლისა იყო, როდესაც მისი მამა — ყაზანის რკინიგზის რუზაევკის სადგურის მემანქანე — ციმბირს გადაასახლეს 1905 წლის რევოლუციაში მონაწილეობისათვის.

ნიკოლოზ ბაიკუზოვმა საშუალო სკოლა უკვე რევოლუციის შემდეგ დაამთავრა, მერე ხუთი წლის განმავლობაში მუშაობდა ელექტრომონტიორად. შემდეგ მოსკოვის ელექტროტექნიკურ ინსტიტუტში შევიდა. იქ სწავლასთან ერთად რადისტად მუშაობდა საზოგადოება „დობროლიოტში“. ბაიკუზოვმა ათეული მიმღებ-გადამცემი აპარატები გააკეთა, კავშირი დაამყარა მსოფლიოს 104 სახელმწიფოს 12 ათას სადგურთან, დაწერა საკმაოდ ბევრი სტატია და წიგნაკი რადიომოყვარულობის დარგში.

ბაიკუზოვი პოლარულ ექსპედიციებში მონაწილეობდა. მან რამოდენიმე ათეული რეისი შეასრულა სამოქალაქო ფლოტის პილოტებთან ერთად. (საკდესი).

# საქ. ალკკ ცენტრალური კომიტეტის ლოზუნგები

## ახალგაზრდობის XXV საერთაშორისო დღისათვის

1. გაუმარჯოს ახალგაზრდობის XXV საერთაშორისო დღეს — მთელი მსოფლიოს მშრომელი ახალგაზრდობის საბრძოლო დათვალიერების დღეს, მშვიდობიანობისათვის, სოციალიზმისათვის ბრძოლის დღეს, ომის გამჩაღებლებისა და პროვოკატორების წინააღმდეგ ბრძოლის დღეს!

2. მგზნებარე სალამი დიდ სტალინს საბჭოთა ახალგაზრდობისაგან! გაუმარჯოს ჩვენს საყვარელ მასწავლებელსა და მეგობარს, ხალხთა ბელადს ამხანაგ სტალინს!

3. კომკავშირელო ქალ-ვაჟნო! „იყავით ჩვენი დიდი—საკავშირო კომუნისტური პარტიის ღირსეული შვილები!“ (სტალინი). გაუმარჯოს ყოვლისშძლე პარტიას ბოლშევიკებისას და მის ლენინურ-სტალინურ ცენტრალურ კომიტეტს!

4. სალამი კაპიტალისტური ქვეყნების რევოლუციურ ახალგაზრდობას! გაუმარჯოს ახალგაზრდობის კომუნისტურ ინტერნაციონალს!

5. გაუმარჯოს დიდ ჩინელ ხალხს, რომელიც იბრძვის თავისი განთავისუფლებისათვის! გაუმარჯოს ჩინეთის რევოლუციურ ახალგაზრდობას!

6. „ჩვენ მხარს ვუჭერთ მშვიდობიანობას და საქმიანი კავშირის განმტკიცებას ყველა ქვეყანასთან, ვდგევართ და ვიდგებით ამ პოზიციაზე, რამდენადაც ეს ქვეყნები ასეთსავე ურთიერთობაში იქნებიან საბჭოთა კავშირთან, რამდენადაც ისინი არ შეეცდებიან დაარღვიონ ჩვენი ქვეყნის ინტერესები“. (სტალინი).

7. გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის ბრძნულ საგარეო პოლიტიკას, რომელიც წარიმართება ამხანაგ სტალინის მითითებებით: „დავიცვათ სიფრთხილე და საშუალება არ მივცეთ ომის პროვოკატორებს, რომლებიც მიჩვეული არიან სხვისი ხელით ნარის გლეჯას, კონფლიქტებში ჩაითრიონ ჩვენი ქვეყანა“.

8. გაუმარჯოს ჩვენს ძლიერს სამშობლოს—საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირს!

გაუმარჯოს თავისუფალ, მძლავრ, ნიჭიერ საბჭოთა ხალხს, გმირების ხალხს, შემოქმედთა ხალხს!

9. გაუმარჯოს კომკავშირს — ბოლშევიკური პარტიის ერთგულ თანაშემწეს! გაუმარჯოს ჩვენი სამშობლოს მშრომელ ახალგაზრდობას!

10. გაუმარჯოს ჩვენს მშობლიურ უძლეველ წითელ არმიას—საბჭოთა ხალხის მშვიდობიანი შრომის მძლავრ ბურჯს, დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მონაპოვართა ერთგულ დარაჯს! გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის მარშალს, თავდაცვის რკინისებურ სახალხო კომისარს ამხანაგ ვოროშილოვს!

11. გაუმარჯოს სსრ კავშირის სამხედრო-საზღვაო ფლოტს—ჩვენი სამშობლოს საზღვაო საზღვრების საიმედო დამცველს — და მის ხელმძღვანელს ამხანაგ კუზნეცოვს!

12. გაუმარჯოს მძლავრ საბჭოთა ავიაციას! გაუმარჯოს საბჭოთა მფრინავებს — ჩვენი სამშობლოს ამაყ შევარდნებს!

13. სალამი მესაზღვრე მებრძოლებს — სოციალიზმის ქვეყნის ფხიზელ გუშაგებს!

14. სოციალიზმის ქვეყნის ახალგაზრდა პატრიოტებო! განამტკიცეთ სსრ კავშირის—საერთაშორისო პროლეტარიატის სამშობლოს — თავდაცვითი ძლიერება, დაეუფლეთ სამხედრო ტექნიკას!

15. უფრო მტკიცედ დავრაზმოთ მთელი მშრომელი ახალგაზრდობა საბჭოთა ხელისუფლების გარშემო! გაუმარჯოს საბჭოთა მთავრობას და მის სახელოვან ხელმძღვანელს ამხანაგ მოლოტოვს!

16. საბჭოთა ახალგაზრდობა მსოფლიოში ერთადერთი ახალგაზრდობაა, რომელსაც აქვს შრომის, განათლებისა და დასვენების უფლება. მადლობა ამხანაგ სტალინს ბედნიერი სიჭაბუკისათვის!

17. გაუმარჯოს სსრ კავშირის ხალხთა ძმურ კავშირს!

18. გაუმარჯოს საბჭოთა საზოგადოების მორალურ და პოლიტიკურ ერთიანობას!

19. გაუმარჯოს სსრ კავშირის სტალინურ კონსტიტუციას — გამარჯვებული სოციალიზმისა და ნამდვილი დემოკრატიზმის კონსტიტუციას! გაუმარჯოს ახალგაზრდობის აქტიურ მონაწილეობას მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნებში!

20. კომკავშირელო ქალ-ვაჟნო! ვიყოთ ბოლშევიკური პარტიის აქტიური თანაშემწენი მშრომელთა კომუნისტური აღზრდის საქმეში!

21. მოვახდინოთ საბჭოთა ახალგაზრდობის ძალთა მობილიზაცია ბოლშევიკური პარტიის XVIII ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა შესასრულებლად! ავამაღლოთ კომკავშირული ორგანიზაციების აქტივობა სახელმწიფო და სამეურნეო მუშაობაში!

22. გაუმარჯოს კომკავშირის საქმიან, ბოლშევიკურ შეფობას მესამე სტალინური ხუთწლედის ახალ მშენებლობათა მიმართ! გაუმარჯოს სოციალისტური შეჯიბრებისა და სტახანოვური მოძრაობის ახალ აღმავლობას!

23. ახალგაზრდა მუშებო, კოლმეურნეებო, ინტელიგენტებო! იყავით მესამე სტალინური ხუთწლედის გეგმების შესრულებისათვის მებრძოლთა პირველ რიგებში! გაუმარჯოს მესამე სტალინურ ხუთწლედის სახელობის სოციალისტური შეჯიბრების შემდგომს გაშლას!

24. ახალგაზრდა კოლმეურნე ქალ-ვაჟნო! იბრძოლეთ წელიწადში 8 მილიარდი ფუთი მარცვლეულის მოწევისათვის! გაუმარჯოს კოლმეურნეობათა და კოლმეურნეთა შეძლებულ და კულტურულ ცხოვრებას!

25. მარქსისტულ-ლენინური თეორია მძლავრი იარაღია კომუნიზმის გამარჯვებისათვის ბრძოლაში! კომკავშირელო ქალ-ვაჟნო! მშრომელო ახალგაზრდობავ! შეისწავლეთ მარქს-ენგელს-ლენინ-სტალინის დიადი იდეები!

26. ბოლშევიზმის ისტორია აღზრდის საუკეთესო სკოლაა ახალგაზრდა თაობისათვის. კომკავშირელო ქალ-ვაჟნო! ახალგაზრდა მშრომელებო! შეისწავლეთ ლენინ-სტალინის პარტიის ისტორია!

27. ეკლესიის მსახურნი და სექტანტები ცდილობენ რელიგიის შხამით მოსწამლონ ახალგაზრდობისა და ბავშვების შეგნება. გადამწყვეტი ბრძოლა გამოვუცხადოთ ბნელეთის მოციქულთა მტრულ, ძირგამომთხრელ მუშაობას! უფრო ფართოდ გავშალოთ ანტირელიგიური პროპაგანდა.

28. ჩვენი მხურვალე სალამი საბჭოთა ქვეყნის სახელოვან ფიზკულტურელ ქალ-ვაჟთ!

29. საბჭოთა სკოლის მოსწავლენო! კომკავშირელო ქალ-ვაჟნო! პიონერო ქალ-ვაჟნო! დაეუფლეთ ცოდნას, ემზადეთ, რათა გახდეთ ლენინ-სტალინის საქმისათვის მებრძოლნი!

30. ჩვენი მხურვალე სალამი საბჭოთა სახალხო მასწავლებელს, რომელიც კომუნიზმის სულისკვეთებით წრთვნის და ზრდის ახალგაზრდა თაობას!

31. გავაძლიეროთ რევოლუციური სიფხიზლე! ბოლო მოვუღოთ პოლიტიკურ უდარდელობას ჩვენს წრეში!

32. კომკავშირელო ქალ-ვაჟნო, საბჭოთა კავშირის ახალგაზრდობავ! უფრო მჭიდროდ დავირაზმოთ დიადი ბოლშევიკური პარტიის გარშემო! მთელი ჩვენი ძალღონე მოვახმაროთ კომუნიზმის დიად საქმეს! გაუმარჯოს მარქს-ენგელს-ლენინ-სტალინის უძლეველ დროშას!

**საქ. ალკკ ცენტრალური კომიტეტი**

# გიგანტური სამკუთხედით სუბსტრატოსფეროში

### ნ. შებანოვი, ვ. მატვეევი, ნ. ბაიკუზოვი

გიგანტური სამკუთხედით სიჩქარეზე გაფრენამ დააგვირგვინა დიდი ხნის დაძაბული მუშაობა, რომელიც სამგზავრო მონოპლანის „სტალ-7“-ის გამოსაცდელად მიმდინარეობდა. მონოპლანი აგებულია 1936 წელს სამოქალაქო-საჰაერო ფლოტის ერთერთ ქარხანაში.

ეს სატრანსპორტო თვითმფრინავი წარმოადგენს მთლიან ლითონის მონოპლანს. მასზე დადგმულია ორი მოტორი; თვითეული მოტორის სიმძლავრე 960 ცხენძალას უდრის. თვითმფრინავზე არის ორმაგი ამოსართველი მართვა. პილოტთა სავარძლები მოწყობილია ერთიმეორის გვერდით. სამგზავრო კაბინში 12 ადგილია, საბარგოში 500 კილოგრამი ფოსტა ეტევა.

თვითმფრინავმა „სტალ-7“-მა საცდელი გამოცდა გაიარა. გამოცდის განმავლობაში მან ასობით საათი იფრინა და 100-მდე გაფრენა მოახდინა, რომელთა ხანგრძლივობაც ცალკეულ შემთხვევაში 8-13 საათს აღწევდა. ვცდილობდით რა მანქანის სიმკვიდრეს, თითქმის ერთიორად ვტვირთავდით თვითმფრინავს მის ნორმალურ საფრენ წონასთან შედარებით.

ივნისში საცდელი ძირდაუშვებელი გაფრენა მოვახდინეთ მოსკოვ — კიევ—მოსკოვის მარშრუტით. გაფრენამ წარმატებით ჩაიარა. საათში საშუალოდ 400-ზე მეტი კილომეტრი სიჩქარით ვფრინავდით. ერთხელ კიდევ დავრწმუნდით ჩვენი მანქანით რეკორდის დამყარების შესაძლებლობაში.

1 აგვისტოს კვლავ გავფრინდით, ამჯერად მოსკოვ — სევასტოპოლ — სარატოვ — მოსკოვის მარშრუტით. მოსკოვიდან 4 საათსა და 50 წუთზე გავფრინდით.

ამ საცდელი რეისების შემდეგ გულმოდგინე მზადება დავიწყეთ 5000 კილომეტრზე გასაფრენად.

დადგა დიდი ხნის სანატრელი დღე. 28 აგვისტოს, დილის 5 საათსა და 15 წუთზე, ჰაერში ავედით შჩელკოვის აეროდრომიდან. 5 საათსა და 32 წუთზე გადავუარეთ პირველ საკონტროლო პუნქტს — შტერნბერგის სახელობის ასტრონომიულ ინსტიტუტს — და გეზი სვერდლოვსკისაკენ ავიღეთ.

...გავიარეთ ბალახნის ჩრდილოეთით. აი, გამოჩნდა მდინარე კერჟენეცი. 5000 მეტრის სიმაღლიდან იგი დაკლაკნილ ანკარას მოგაგონებს, რომლის ქერცლი ვერცხლივით ბრწყინავს მზის სხივებზე.

მივფრინავთ ულრანი ტყეების თავზე. 6 საათი და 40 წუთია. ვაზუსტებთ გეზს: მანქანა წინასწარ დასახული ტრასით მიდის. იოშკარ-ოლას იქით მთლიანი მოღრუბლულობა შეგვხვდა, რომელიც 1500 მეტრს სიმაღლეს აღწევდა. იგი გვიფარავდა მიწის ორიენტირებს, მაგრამ ჩვენ ისინი არც გვჭირდებოდა. ჩვენი საბჭოთა რადიოკომპასი ზუსტად გვიჩვენებდა საჰაერო გზას.

8 საათი და 47 წუთია. სვერდლოვსკს ვერა ვხედავთ, იგი დაფარულია უზარმაზარი ღრუბლებით. შემთხვევით „ფანჯარა“ გაკეთდა და ჩვენ დავინახეთ რომელიღაც ახალი მუშათა დაბის გარკვეული ხაზები. სწრაფად გაიელვა პატარა შენობებმა, შემდეგ კი კვლავ ღრუბლებში შევედით.

ვარაუდით ჩვენ უკვე საკონტროლო პუნქტის თავზე მივფრინავდით, მაგრამ მას ვერა ვხედავდით. დაგვინახა თუ არა სპორტის კომისარმა? ვკარგავთ ძვირფას წუთებს, მაგრამ ვაგრძელებთ ფრენას სვერდლოვსკის რაიონის თავზე.

ბოლოს, ვიპოვეთ „ფანჯარა“ და ფანჯარაში დავინახეთ საკონტროლო პუნქტი — დაბა მალოე ბრუსიანსკოე, რომელზედაც მითითებული გვქონდა. შემოვატრიალეთ ჩვენ თავზე მანქანა და გეზი სევასტოპოლისაკენ ავიღეთ.

20 წუთის შემდეგ დადასტურება მოგვივიდა: სპორტის კომისარს ჩვენი თვითმფრინავი დაუნახავს 9 საათსა და 18 წუთზე.

კვლავ გადაუფრინეთ თავზე ვოლგას. მოღრუბლულობა დამთავრდა. წინ ქიგული დავინახეთ. ვისადილეთ მჟავბადიანი ნიღბების ჩამოუხსნელად. ვაშლის გარდა შოკოლადს ვჭამთ.

კარგ პირობებში ვიფრინეთ დონბასის თავზე. სიჩქარე რიგიანი იყო —440 კილომეტრი.

გადავკვეთეთ აზოვის ზღვა. 14 საათსა და 44 წუთზე სევასტოპოლის საკონტროლო პუნქტის თავზე გადავიარეთ და სწრაფად მივტრიალდით ჩრდილოეთისაკენ—მოსკოვისაკენ!

უკანასკნელი ეტაპია. საუცხოო მზიანი ამინდია, მაგრამ სიჩქარე მკვეთრად ეცემა. კოლოსალური ძალის პირქარი ჩვენი მანქანის სიჩქარეს ჰყლაპავდა. საზოგადოდ, ქარის ვითარება ჩვენი გაფრენისათვის ფრიად არახელსაყრელი იყო. გზის დიდი ნაწილი ძლიერ პირქარში და გვერდის ქარში ვიფრინეთ, რამაც ჩვენი სიჩქარე შეამცირა.

ვცდილობდით გაგვეძლიერებინა სიჩქარე, რისთვისაც სუბსტრატოსფეროში 5,5 ათასამდე მეტრ სიმაღლეზე მივფრინავდით. 18 საათსა და 03 წუთზე შტერნბერგის სახელობის ინსტიტუტს გადავუარეთ.

გაფრენა დამთავრებულია. ჩვენ ფრანგი მფრინავი როსის საერთაშორისო რეკორდს გადავაჭარბეთ, საშუალოდ 404.936 კილომეტრი ვიფრინეთ საათში.

ამ შედეგებით კმაყოფილი ვართ, მაგრამ ეს კიდევ მთლიანად არ არის ყველაფერი ის, რის მოცემაც შეუძლია ჩვენს საუცხოო მანქანას. (საკდესი).

# დატვირთვის აგვისტოს გეგმა შესრულებულია 109,5 პროცენტით

ამიერკავკასიის რკინიგზა ყოველთვიურად აუმჯობესებს თავის მუშაობას. წლის დამდეგიდან მას საპატიო ადგილი უკავია საბჭოთა კავშირის რკინიგზათა მუშაობის შესახებ ყოველთვიურ ნაკრებში. აგვისტოში რკინიგზამ ახალი წარმატება მოიპოვა. დატვირთვის საერთო გეგმა შესრულებულია 109,5 პროცენტით. განსაკუთრებული წარმატებით არის ჩატარებული ნავთის გადაზიდვა, რაც გზის მუშაობის ყველაზე პასუხსაგებ საქმეს წარმოადგენს. ნავთის გადაზიდვის აგვისტოს გეგმა შესრულებულია 116,9 პროცენტით.

რკინიგზამ თვალსაჩინო წარმატება მოიპოვა პირველი კატეგორიის ტვირთის დატვირთვის საქმეშიც. დღე-ღამეში ნორმის გადამეტებით იტვირთებოდა 122 ასეთი ტვირთი.

მაგრამ გზა ჯერ კიდევ არასაკმაოდ იყენებს ვაგონებს, რომლებიც სადგურების უთადარიგობის გამო უნაყოფოდ სცდება. აგვისტოში ვაგონის ბრუნვა 4,06 დღე-ღამეს შეადგენს. დავალება კი 3,6 დღე-ღამეა. ამით უნდა ავხსნათ, რომ პირველი კატეგორიის ზოგიერთი საგეგმო ტვირთის (ფქვილის, პურის, მადნის) დატვირთვის გეგმა გზამ ვერ შეასრულა, თუმცა პირველი კატეგორიის ტვირთის გადაზიდვის გეგმა მთლიანად შესრულებულია. საბარგო მატარებლების მოძრაობის გრაფიკიც არასაკმაო სიზუსტით სრულდება. (საქდესი).

# თბილისის მშრომელები მხურვალედ მიესალმებიან სსრკ უმაღლესი საბჭოს ისტორიული სესიის გადაწყვეტილებებს

## სტალინური სიბრძნით აღსავსე კანონები

გუშინ, 4 სექტემბერს დიდი **სტალინის** სახელობის ფეხსაცმლის პირველ ფაბრიკაში (თბილისი) შესდგა ფაბრიკის მუშებისა, მოსამსახურეებისა და ინჟინერ-ტექნიკოსების სახელდახელო მიტინგი, რომელიც მოწვეული იყო სსრკ უმაღლესი საბჭოს რიგგარეშე მეოთხე სესიის მუშაობის დამთავრებასთან დაკავშირებით.

— ამ ისტორიული სესიის მუშაობის საპასუხოდ, — ნათქვამია მიტინგზე ერთხმად მიღებულ რეზოლუციაში, — ჩვენი დიადი სამშობლოს ძლევამოსილების კიდევ უფრო მაღალ საფეხურზე ასაყვანად, ჩვენი ფაბრიკის კოლექტივი კისრულობს ერთისამად გააძლიეროს ბრძოლა საწარმოო გეგმების შესასრულებლად.

## ვიმუშავებთ სტახანოვურად, ვიბრძოლებთ ხასანურად

ერთი მუშაც არ დარჩენილა კალინინის სახელობის მექანიკურ ქარხანაში, რომ მიტინგზე არ გამოცხადებულიყო. საქარხნო კლუბის ვეებერთელა დარბაზი აივსო მოწინავე მუშებით, სტახანოველებით, ინჟინერ-ტექნიკოსებით.

— მთელი 170-მილიონიან საბჭოთა ხალხთან ერთად, — სთქვა სტახანოველმა ამხ. ს. მეტრეველმა, — ჩვენ ერთხმად მივესალმებით საბჭოთა მთავრობის ბრძნულ სტალინურ პოლიტიკას, ერთსულოვნად ვიწონებთ მას და ვიძლევით დაპირებას, რომ საწარმოში ვიმუშავებთ სტახანოვურად, მუდამ გადაჭარბებით შევასრულებთ გეგმებს, ხოლო თუ საომრად გასვლა მოგვიხდა, ვიბრძოლებთ ხასანურად და ვაგემებინებთ მტერს ვოროშილოვისებური ბათქის მთელ სიძლიერეს.

მიტინგზე პატრიოტულად აღგზნებული სიტყვები წარმოსთქვეს — ამხ. გ. დობიჩინმა, ა. ოვიანმა, ლ. გრიგორიევმა და სხვ. ყველამ ერთსულოვნად მოიწონა სესიის მიერ მიღებული გადაწყვეტილებანი.

## „ვიქნებით კიდევ უფრო ფხიზლად, ვიმუშავებთ კიდევ უკეთესად“

თბილისის მეორე სამკერვალო ფაბრიკაში გუშინ მოწვეულ სახელდახელო მიტინგზე გამოსულმა ამხ. სოფიო კიკვიძემ, გ. გევორქოვმა, კონ. გვანცელაძემ, ზ. ოგანეზოვმა და სხვებმა განაცხადეს, რომ, აღფრთოვანებულნი საბჭოთა მთავრობის სტალინური პოლიტიკის გამარჯვებებით, ისინი კისრულობენ ამიერიდან კიდევ უკეთესად იმუშაონ, იბრძოლონ შრომის დისციპლინის შემდგომი განმტკიცებისა, შრომის ნაყოფიერების ზრდისა და პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის.

— მაგრამ ამავე დროს, — განაცხადეს ორატორებმა,—სიტყვას ვაძლევთ ჩვენს მშობლიურ ლენინურ-სტალინურ პარტიას, მშობლიურ საბჭოთა მთავრობას, რომ კიდევ უფრო გავამახვილებთ რევოლუციურ სიფხიზლეს და მუდამ მზად ვიქნებით პირველი დაძახებისთანავე გავიდეთ სამშობლოს დასაცავად ყოველგვარი ჯურის მტრებისაგან.

ერთხმად მიღებულ რეზოლუციაში მიტინგზე დამსწრენი მიესალმნენ სესიის გადაწყვეტილებებს.

* * *

გუშინ ასეთი მიტინგები ჩატარდა — აბრეშუმსაქსოვ ფაბრიკაში, ორჯონიკიძის სახელობის ქარხანაში, საფანერო ფაბრიკაში, პირველ სამკერვალო ფაბრიკაში, მოლოტოვის სახელობის ავეჯეულობის ფაბრიკაში, „კომუნისტის“ გამომცემლობის სტამბაში და სხვ.

# ლექცია მატერიალიზმისა და იდეალიზმის შესახებ

გუშინ საღამოს ძერჟინსკის სახელობის კლუბში ჩატარებულმა ლექციამ თემაზე „მატერიალიზმი და იდეალიზმი“ ერთხელ კიდევ გვიჩვენა, რომ ინტელიგენციის ინტერესი მარქსისტულ-ლენინური მეცნიერების შესწავლისადმი, ბოლშევიზმის თეორიის დაუფლებისადმი დღითიდღე იზრდება.

ლექცია წაიკითხა პროფ. მ. გოგიბერიძემ, მას დიდი ყურადღებით უსმენდნენ დამსწრენი, რომლებითაც სავსე იყო კლუბის დარბაზი.

ლექტორმა თავისი ლექცია დაიწყო იმის აღნიშვნით, რომ სტალინურ სახელმძღვანელოს „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსს“ უდიდესი მნიშვნელობა აქვს არა მარტო პარტიის ისტორიის მარქსისტულ-ლენინურად გაშუქებისათვის, არამედ იგი აგრეთვე უბადლო სახელმძღვანელოა ფილოსოფიის დარგშიც. ამ შესანიშნავმა წიგნმა, ამბობს პროფ. მ. გოგიბერიძე, დიდი სამსახური გაუწია ჩვენს მეცნიერებას, გაარკვია მთელი რიგი საკითხები, რომლებიც მანამდე ჩვენ ბუნდოვნად, არასწორად გვესმოდა.

შემდეგ პროფ. მ. გოგიბერიძე ახდენს იდეალიზმისა და მატერიალიზმის პრინციპული დებულებების დაპირისპირებას, ახასიათებს მარქსამდე არსებულ მატერიალიზმს, ჩამოსთვლის მის დადებით და უარყოფით მხარეებს, დაწვრილებით ჩერდება ობიექტური და სუბიექტური იდეალიზმის ბუნების განმარტებაზე, მოკლედ ლაპარაკობს აგრეთვე კანტის იდეალიზმზე.

ლექტორმა გასაგებად მოუთხრო აუდიტორიას იმ გამარჯვებაზე, რომელსაც მიაღწია მატერიალიზმმა ფილოსოფიაში მარქსის გამოჩენის შემდეგ. მან ილაპარაკა ლენინის ბრძოლაზე იდეალისტების (მახისა და სხვ.) წინააღმდეგ და ამ ბრძოლის წარმატებებზე.

ლექცია იყო შინაარსიანი და საინტერესო ფაქტებით მდიდარი, მრავალრიცხოვანმა აუდიტორიამ ის დიდი გულისყურით მოისმინა.

ლექტორმა დამაკმაყოფილებელი პასუხი გასცა შემოსულ შეკითხვებზე.

ლექციას ესწრებოდა საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი პროპაგანდის დარგში ამხ. ი. თავაძე.

# განვავითაროთ საზოგადოებრივი მეცხოველეობა კოლმეურნეობებში

## როგორ ვიბრძვით მეცხოველეობის განვითარებისათვის

(სიღნაღი, „კომუნისტის“ კორესპონდენტისაგან)

სსრ კავშირის სახკომსაბჭოსა და საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის მიმდინარე წლის 8 ივლისის დადგენილების შესაბამისად სიღნაღის რაიონში არსებული 56 კოლმეურნეობის სარძეო-სასაქონლო ფერმაში უნდა იყოს თვითეულში 8—60 ძროხა. ფაქტიურად რაიონში, ნაცვლად 56-ისა, არის 46 სარძეო-სასაქონლო ფერმა და აღნიშნული ფერმებიდანაც მხოლოდ 16 ფერმას ჰყავს საკმარისი რაოდენობის ძროხები.

რაიონში 30 ფერმა საჭიროებს გამსხვილებას, ხოლო ახლად უნდა ჩამოყალიბდეს არა ნაკლებ 10 ფერმისა. გამსხვილებას საჭიროებს კერძოდ სოფელ მალაროს კოლმეურნეობა „ლენინის გზითის“ (თავმჯდომარე სოსო ბაიდოშვილი) ფერმაც. აღნიშნულ კოლმეურნეობას მიწა აქვს 2.399 ჰექტარი და უნდა ჰყავდეს 60 ძროხა მაინც, სინამდვილეში კი ჰყავს 36 ძროხა. ასევეა სოფელ ბოდბისხევის კოლმეურნეობა „წითელ ოქტომბერში“ (თავმჯდომარე გ. ზარიძე). მიწის ფართობის მიხედვით მას უნდა ჰყავდეს 45 ძროხა, ნამდვილად ჰყავს 23.

სიღნაღის რაიონში არის ისეთი კოლმეურნეობებიც, სადაც არცერთი სახის ფერმა არ არსებობს, მაგალითად, სოფ. ულიანოვკის ბუდიონისა და სოფ. ტიბაანის ლიტვინოვის სახელობის კოლმეურნეობებში.

სოფ. ანაგის კოლმეურნეობა „შრომას“ (თავმჯდომარე თ. მახაშვილი) მიწის ფართობის მიხედვით უნდა ჰყავდეს 8 დედა-ღორი, სინამდვილეში კი უკვე ჰყავს 20 დედა-ღორი, მაგრამ მერძეული საქონლის ფერმა არ გააჩნია.

პირუტყვის ჯიშის გასაუმჯობესებლად რაიონში შემოყვანილი იქნება შვიცის ჯიშის 20 ბუღა და 150 რამბულიეს ჯიშის ყოჩი. რაიონს აღნიშნული ჯიშიანი მწარმოებლები უნდა მიაწოდოს საქართველოს ჯიშპირუტყვდამზადების კანტორამ. (მმართველი ბაჩიაშვილი). ჯიშიანი მწარმოებლები კანტორას უნდა გადმოეგზავნა ივნისსა და ივლისში. მიუხედავად ამისა, დავალება დღესაც არ არის შესრულებული. რაიონში 15 სექტემბრიდან იწყება ცხვრის მასობრივი განაყოფიერება. ჯიშიანი მწარმოებელი ყოჩების შემოუყვანლობა შეაფერხებს ჯიშიანი პირუტყვის გამრავლებას.

რაიონში არსდება სარძეო საჯიშე სასაქონლო ახალი ფერმა, რისთვისაც მიწგანს საქჯიშპირუტყვდამზადების კანტორიდან შესყიდული ჰყავს 15 დეკეული. ამავე ფერმას მიეცემა რაიონში შემოყვანილი შვიცის 2 ბუღა. ჯიშიანი ბუღები მიეცემა აგრეთვე სოფელ მალაროს კოლმეურნეობა „ლენინის გზას“. კოლმეურნეობებს დაურიგდებათ ჯიშიანი ყოჩებიც.

წელს რაიონის კოლმეურნეობებს პირუტყვისათვის მომზადებული აქვთ საუკეთესო საკვები, როგორც კონცენტრირებული, ისე უხეში. კოლმეურნეობათა უმრავლესობამ ერთდაიმავე მასივზე თივა ორჯერ გათიბა, დროულად მოამზადა სილოსიც.

ახლა საჭიროა კიდევ უფრო გავაძლიეროთ მუშაობის ტემპები, მეცხოველეობის განვითარების საქმეში მივაღწიოთ ახალ წარმატებებს, მეცხოველეობის განვითარების შესახებ საკავშირო სახკომსაბჭოსა და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1939 წლის 8 ივლისის დადგენილების სანიმუშოდ შესრულებას.

**კ. ბეჟაშვილი**

# ეხმაურებიან აზერბაიჯანელ მეცხოველეთა წერილს

**ბორჯომი,** (საქდესი). ბორჯომის რაიონის კოლმეურნეები დიდი აღფრთოვანებით გამოეხმაურნენ აზერბაიჯანის რესპუბლიკური თათბირის მონაწილეთა მიერ საქართველოს მეცხოველეთა სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოწვევას. „კოლმეურნეობებში საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარების ღონისძიებათა შესახებ“ სსრ კავშირის სახკომსაბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილების უკეთ და თავის დროზე გატარებისათვის.

სოფ. დიდი მიტარბის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრთა საერთო კრებაზე, რომელზედაც განიხილეს აზერბაიჯანელ მეცხოველეთა წერილი, მეცხოველეობის ფერმის გამგემ ამხ. ამირან კოროშვილმა განაცხადა:

— უდიდესი კმაყოფილებით ვეგებებით მოძმე რესპუბლიკის მეცხოველეობის მუშაკთა მიერ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოწვევას. ეს შეჯიბრება ხელს შეუწყობს საზოგადოებრივი მეცხოველეობის სწრაფი ტემპებით განვითარებას და პარტიისა და მთავრობის 8 ივლისის დადგენილების ცხოვრებაში მტკიცედ გატარებას. პირადად ვკისრულობ სანიმუშო წესრიგი დავამყარო სარძეო-სასაქონლო ფერმაში, 120 პროცენტამდე გავზარდო პროდუქტიულობა და მთლიანად შევინარჩუნო მიმდინარე წლის ნამატი.

ნუშკა დიაკონაშვილმა, სოფიო თუაურმა და სხვა კოლმეურნეებმა ახალი კონკრეტული ვალდებულებანი იკისრეს და სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვიეს ერთმანეთი.

კოლმეურნეობამ საზოგადოებრივი მეცხოველეობის შემდგომი განვითარებისათვის პრაქტიკული ღონისძიებანი დასახა და სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვია სოფ. პატარა მიტარბის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობა.

აზერბაიჯანის მეცხოველეთა წერილის განხილვისადმი მიძღვნილი კრებები შესდგა აგრეთვე ტაბაწყურის, ჭობისხევის, ციხისჯვრის, მაჭარწყლის, გუჯარეთისა და სხვა კოლმეურნეობებში.

თბილისი. ორჯონიკიძის სახელობის გარეუბნის საბჭოთა მეურნეობა. ამ საბჭოთა მეურნეობაში პირველად საქართველოში სწარმოებს ძროხების ელექტრონით წველა. **სურათზე:** ელექტრონით წველის მომენტი. საქდესის ფოტოქრონიკა

# ლეგენდარული ჩაპაევი

ჩაპაევის, როგორც სახელოვანი მე-25 დივიზიის უფროსის, საბრძოლო გზის ყველაზე ბრწყინვალე ნაწილი დაიწყო იმ მომენტიდან, რაც ის 1919 წლის თებერვალში სამხედრო აკადემიიდან აღმოსავლეთის ფრონტზე დაბრუნდა.

მე-25 დივიზიაში ჩაპაევი გაგზავნა მიხეილ ვასილის-ძე ფრუნზემ, რომელმაც თავიდანვე შეაფასა ჩაპაევის შესანიშნავი ნიჭი.

ჩაპაევი სარდლობდა დივიზიას მარტიდან თავისი დაღუპვის დღემდე—5 სექტემბრამდე. ამ მოკლე ხანში მე-25 დივიზიამ რამდენიმე ათეული დიდი ბრძოლა გადაიხადა უცვლელი წარმატებით.

ჩაპაევმა სამანევრო მოქმედების ბრწყინვალე ნიმუშები გვიჩვენა. მისი ნაწილები ხშირად ისე ებრძოდნენ მტერს, რომ სხვა ნაწილების დახმარების მოლოდინი არ ჰქონდათ. ჩაპაევის საყვარელი მანევრი იყო მტრის შემოვლა და განსაკუთრებით მისი გარემოცვა. ხშირად ჩაპაევი, მტრის სიფხიზლის მოსადუნებლად, ცალკეულ ნაწილებს უკან ახევინებდა, რათა მთავარი ძალებით ფლანგებიდან გამანადგურებელი ლახვარი ჩაეცა მტრისთვის.

სამხედრო სპეციალისტებს აოცებდა ჩაპაევის სისწრაფე, გაბედული მოსაზრება, დასახული ამოცანების აქტიურად გადაჭრა. ჩაპაევი მუდამ აღზნებული იყო და თითქმის არასოდეს უკან არ იხევდა.

მოიპოვებოდნენ ადამიანები, რომლებიც ამტკიცებდნენ, თითქოს ჩაპაევი უგულებელჰყოფდა ცოდნას და საბრძოლო პრაქტიკა ერჩივნა თეორიას. ეს ისე შორსაა ჭეშმარიტებისაგან, როგორც ცა დედამიწისაგან. 1918 წელს სამხედრო აკადემიის პირველ მსმენელთა რიცხვში სწორედ ჩაპაევი იყო. სწავლას მან მთელი სერიოზულობით მოჰკიდა ხელი. მოსკოვიდან თავის მეგობრებს სწერდა, რომ სასწავლად წავიდა, რათა შეევსო თავისი საერთოსაგანმანათლებლო ცოდნა, რომლის ნაკლებობას ყოველთვის ძლიერ გრძნობდა.

ბოროტი ჭორია ისიც, თითქოს ჩაპაევი წინდაუხედავი და უდისციპლინო იყო. ამ ცილისწამებას სთხზავდნენ ტროცკისტი მოღალატენი და ავრცელებდნენ არა მარტო ჩაპაევის წინააღმდეგ, არამედ აგრეთვე შჩორსის და სამოქალაქო ომის იმ სხვა ბრწყინვალე მხედართმთავრების წინააღმდეგ, რომელნიც ხალხიდან იყვნენ გამოსულნი და ბოლომდე ერთგულნი იყვნენ დიადი ლენინურ-სტალინური დროშისა.

ჩაპაევი მამაცი და გაბედული იყო, მაგრამ ამავე დროს ფრთხილი და დაკვირვებულიც. იგი არასოდეს არ ეხეთქებოდა შუბლით კედელს, არასოდეს არ აგდებდა თავის ნაწილებს უაზრო საფრთხეში.

ჩაპაევი იდეალურად [illegible] ლი იყო. ამას [illegible] ფაქტები, რომ ის [illegible] ლებოდა [illegible] ვარდა და რომელსაც უსაზღვროდ სცემდა პატივს. ფრუნზე თავის მხრივ პატივს სცემდა და აფასებდა ჩაპაევს. უდისციპლინო მეთაური ვერასოდეს ვერ დაიმსახურებდა პატივისცემას და ქებას ისეთი შესანიშნავი პროლეტარული მხედართმთავრისაგან, როგორიც იყო ფრუნზე.

ჩაპაევი ეჭვის თვალით უყურებდა ზოგიერთ ყოფილ გენერალს და ყოველგვარ ტროცკისტულ დამქაშებს. ახლა, როდესაც ტროცკისტ-ფაშისტი ჯაშუშები სავსებით მხილებულნი არიან, ჩვენ კარგად ვიცით, თუ რა საფუძვლიანი იყო ჩაპაევის ინსტიქტური უნდობლობა ამ ხალხისადმი.

ჩაპაევი თავისი ბუნებით განსაკუთრებით მთლიანი ადამიანი იყო. იგი გამსჭვალული იყო შეურიგებელი სიძულვილით მშრომელთა მტრებისადმი. ეს იყო ადამიანი, რომელიც თავისი ცხოვრების მიზნად ისახავდა სოციალიზმის გამარჯვებისათვის ბრძოლას. მას მთელი სულით და გულით უყვარდა ხალხი. იგი მრისხანე და ულმობელი იყო მტრებისადმი, მაგრამ არაჩვეულებრივად გულთბილი იყო თავისი მებრძოლებისადმი, მეთაურებისადმი, რომლებიც მთლიანად ახალგაზრდობისაგან შესდგებოდნენ, იმ დასახლებული პუნქტების მუშებისა და გლეხებისადმი, რომლებსაც ჩაპაეველები თეთრგვარდიელებისაგან ანთავისუფლებდნენ.

ჩაპაევის სახე—ეს არის სახე სოციალისტური რევოლუციის ეპოქის სახალხო გმირისა. იგი მახლობელია არა მარტო ჩვენი ქვეყნის მშრომელთათვის. რესპუბლიკურ ესპანეთში საუკეთესო რაზმებს ჩაპაევის სახელს უწოდებდნენ. ჩაპაევს იცნობენ ჩინელი პარტიზანები და უყვართ იგი.

ჩაპაევის სახე მოგვაგონებს ჩვენი წითელი არმიის გმირულ ბრძოლებს მშრომელი ხალხის ინტერესებისათვის, ბედნიერი ცხოვრებისათვის. ჩაპაევზე გამოთქმულ სიმღერებსა და ლეგენდებში საბჭოთა ხალხი იკრებს სიმხნევეს, უშიშრის გმირობას, მამაცობას, გამარჯვების ნებისყოფას, უსაზღვრო სიყვარულსა და ერთგულებას სოციალისტური სამშობლოსადმი, ლენინ-სტალინის პარტიისადმი.

საბჭოთა ქვეყანა იმ გმირების სამშობლოა, რომლებსაც ლენინ-სტალინის პარტია ზრდის. მთელ მსოფლიოში სოციალიზმის გამარჯვებისათვის მომავალ ბრძოლებში ჩვენი ქვეყანა მოგვცემს ათასობით ახალ გმირებს, ისეთებს, როგორიც იყო ჩაპაევი, და დაამარცხებს ყოველ მტერს.

**საბჭოთა კავშირის გმირის ბრიგადის მეთაურ მ. სლეპნევის წერილიდან.**

# ნაწყვეტი დ. ფურმანოვის გამოუქვეყნებელი დღიურიდან

როცა საღამოობით შევიკრიბებოდით— ჩაპაი, ისაევი, პეტროვი და მე—ჩვენ ყოველთვის ვმღეროდით ჩაპაევის საყვარელ სიმღერას:

„მეზღვაურო შეგისრულდა
ლამაზს ოცი წელი,
შემიყვარე, მეზღვაურო,
შენგან პასუხს ველი!

ზღვის ტალღებს ვჭრით ამრიგად,
დღეს აქა ვართ, ხვალ იქა.
ეჰ, ვჭრით ტალღებს ამრიგად,
დღეს აქა ვართ, ხვალ იქა!..“

ეს იყო ჩვენი ყველაზე საყვარელი და ყველაზე შეთანხმებული სიმღერა. სხვა სიმღერებსაც ვმღეროდით, მაგალითად, „ზის მოაჯირს გადაღმა ბნელს, ნესტიანს ციხეში“, „კუნძულებიდან...“

სხვა სიმღერებსაც მღეროდნენ, მაგრამ ის სიმღერები ვერ დავისწავლე. ჩაპაის არავითარი ხმა არ ჰქონდა, მაგრამ მკვეთრი, მაღალხგეროვანი ტენორით მღეროდა. ჩაპაი გვარწმუნებდა, რომ წინათ შესანიშნავად მღეროდა და გუნდში ერთ-ერთი პირველთაგანი იყო, ახლა კი, მართალია იგი განსაკუთრებულ ეფექტს ვერ ახდენდა, მაგრამ სამაგიეროდ მიმზიდველად, მხიარულად მღეროდა და თავისი მღერით სხვას აღაგზნებდა, ჩაპაი მთელი სულითა და გულით, თავდავიწყებით მღეროდა.....

იგი ყოველთვის მზად იყო ემღერა: დღეცა და ღამეც, სახლშიაც და მინდორშიაც, ბრძოლის შემდეგ და ბრძოლის წინაც. ამ შემთხვევაში იგი რამდენადმე სიფრთხილესაც მოკლებული იყო. ხმამაღლა დასძახებდა გატაცებით და ჩვენც გვიტაცებდა, ხშირად მაშინაც კი, როცა მტრის პოზიციებს უახლოვდებოდა.

ერთხელ ბნელ საღამოს გაშლილ ველზე თავდავიწყებით ვმღეროდით, ჩვენთან ათი ორდინარი იყო. იმ ღამეს გზა დაგვებნა და გადავწყვიტეთ ღამე მინდორში გაგვეთია. იქვე თურმე ყაზახების რაზმი იდგა, ჩვენ სულ ახლოს ვიყავით მტრის პოზიციიდან. როგორც კი ყოველივე გამოაშკარავდა, ჩვენ სიმღერა შევწყვიტეთ და აღარ დაგვიმთავრებია: ჩაპაი იმ დროს მკაცრად, აუღელვებლად და გონებამოკრეფით გამოიყურებოდა: ის ფიქრობდა.

ფიქრობდა დიდხანს გონებამოკრეფით. ხშირად შემიმჩნევია, როცა ერთად მივდიოდით პოზიციებზე, რომ ჩაპაი დიდხანს სდუმდა, შემდეგ კი იტყოდა:

„არ ვიცი დიმიტრი ანდრიას-ძევ, შენ რას ფიქრობ, ხოლო მე სულ იმის ფიქრში ვარ, სულ იმას ვანგარიშობ, თუ როგორ უკეთ ჩავიგდო ხელში მტერი. სულ ბორცვები, დაბლობები და მდინარეები მელანდება. სულ იმაზე ვფიქრობ, როგორ შემოვუარო და საიდან მივუდგე, რომ მტერს თავზარი დავსცეთ“.

ტყუილა კი არ იყო ჩაპაი მზად ყოველგვარი მოულოდნელობისათვის. მას ვერაფრით ვერ გააკვირვებდით, იგი ყოველთვის სწრაფად ნახულობდა უმტკივნეულოდ გამოსავალს, თუნდაც ყოველნაირი კრიტიკული მდგომარეობიდან. მას შესანიშნავად ახსოვდა არა მარტო ის ადგილები, სადაც თავისი ლეგიონი და მეზობელი დივიზიების ლეგიონებში იყვნენ გამაგრებულნი, არამედ კარგად ახსოვდა ყველა ის პატარა სოფლებიც, რომლებიც უკვე გავლილი გვქონდა, მაგრამ რატომღაც უეცრად საჭირონი ხდებოდნენ.

მეხსიერება მას შესანიშნავი და ამავე დროს მკვეთრი ჰქონდა. ყველაფერს იმახსოვრებდა, რაც მის თვალწინ ჩაივლიდა, ახსოვდა საუბარი, იმახსოვრებდა სახეებს, წიგნის შინაარსს და ბრძოლის დაწვრილებით ამბებს. ყველაფერი გარკვევითა და ნათლად ჰქონდა წარმოდგენილი. მისი მეხსიერებისათვის შეგვეძლო მიგვემართათ ყოველთვის ყოველგვარი ცნობისათვის.

**დ. ფურმანოვი.**

ვლ. კობახიძე

საქ. სსრ მიწსახკომის მეცხოველეობის სამმართველოს უფროსი

# საზოგადოებრივი მეცხოველეობის შემდგომი აღმავლობისათვის

„კოლმეურნეობებში საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარების ღონისძიებათა შესახებ“ სსრ კავშირის სახკომსაბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1939 წლის 8 ივლისის დადგენილება წარმოადგენს ისტორიულ დოკუმენტს, რომელიც უდიდეს როლს შეასრულებს სოციალისტური მეცხოველეობის შემდგომი განვითარების საქმეში. აღნიშნული დადგენილება მთლიანად და სავსებით გამომდინარეობს საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობის დადგენილებიდან და დიდი ბელადის ამხანაგ **სტალინის** ისტორიული მითითებებიდან.

ორდენოსანი საქართველოს პარტიულმა ორგანიზაციებმა ამხანაგ **ლ. პ. ბერიას** ხელმძღვანელობით თვალსაჩინო წარმატებანი მოიპოვეს მეცხოველეობის აღმავლობის საქმეში. 1938 წლისათვის საქართველოში მსხვილფეხა პირუტყვი იყო 1.754,8 ათასი სული, ცხვარი და თხა 1.954 ათასი სული და ღორი 683,8 ათასი სული. 1913 წელთან შედარებით ცხენების სულადობა გაიზარდა 39,6 პროც., მსხვილფეხა რქიანი პირუტყვისა — 34,8 პროც., თხის —5,4 პროც. და ღორისა — 140.5 პროცენტით.

საკოლმეურნეო მეცხოველეობის სასაქონლო ფერმების რაოდენობა 1939 წ. 1 ივლისისათვის 3.521 აღწევდა.

მნიშვნელოვანი მუშაობა არის ჩატარებული პირუტყვის ჯიშის გაუმჯობესების საქმეში. 1938 წელს დაგრილებული იყო ჯიშიანი მწარმოებლებით კოლმეურნეობათა მთელი ძროხების 57,4 პროცენტი, ცხვრის 83,5 პროცენტი და ძირითადად დედა-ღორების მთელი სულადობა.

პირუტყვის მეტიზაციის მიზნით 1935-დან 1939 წლამდე გადაეცა კოლმეურნეობებს მოძმე საბჭოთა რესპუბლიკებიდან შემოყვანილი და ადგილობრივ საბჭოთა მეურნეობებიდან დამზადებული ჯიშიანი პირუტყვი: 4,9 ათასი საბუღე და დეკეული; 6,8 ათასი ყოჩი და 7,5 ათასი კერატი და ნეზვი.

უდიდესი დახმარება აღმოუჩინეს პარტიამ და ხელისუფლებამ საქართველოს კოლმეურნეებს პირად სარგებლობაში პირუტყვის შეძენის საქმეში. 1934-დან 1939 წლამდე კოლმეურნეებს გადაეცათ საკოლმეურნეო ფერმებიდან, საბჭოთა მეურნეობებიდან და კონტრაქტაციის გზით შეძენილი 80 ათასი დეკეული, 81 ათასი ღორი და 83 ათასი ცხვარი და თხა.

მიუხედავად დიდი მიღწევებისა, რომლებიც საქართველომ მოიპოვა საკოლმეურნეო მეცხოველეობის განვითარების საქმეში, ჯერ კიდევ არსებობს უაღრესად სერიოზული ნაკლოვანებანი საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარებაში.

საქართველოში საკმაოდ დიდი პროცენტია კოლმეურნეობებისა, რომელთაც სრულებით არა აქვთ საკოლმეურნეო ფერმები, ანდა თუ აქვთ, ისიც დედა-პირუტყვის ძალზე მცირე სულადობით და მცირე პროდუქტიულობით. 1939 წ. 1 ივლისის მდგომარეობის მიხედვით სრულებით არა აქვს მეცხოველეობის ფერმა 1941 კოლმეურნეობას, ანუ 47,2 პროცენტს.

ღონისძიებათა კომპლექსში, რომელიც ტარდება მეცხოველეობის პროდუქტიულობის და მისი ხარისხიანობის ამაღლებისათვის, ერთ-ერთ ძირითად ღონისძიებას წარმოადგენს პირუტყვის მეტიზაციის ჩატარება. ამხ. **ლ. პ. ბერიამ** საქართველოს კ. პ. (ბ) ც. კ-ის მეხუთე პლენუმზე აღნიშნა, რომ „პირუტყვის პროდუქტიულობა გადიდებულ უნდა იქნეს პირუტყვის კვების, მოვლისა და მისი შენახვის პირობების საფუძვლიანი გაუმჯობესების გზით, ხოლო ჯოგის ჯიშობრივი შემადგენლობის გაუმჯობესება—მეტიზაციის გზით“.

საქართველოს პარტიულმა და საბჭოთა ორგანიზაციებმა და სამიწათმოქმედო ორგანოებმა ჯოგის ჯიშობრივი გაუმჯობესების საქმეში საგრძნობი მუშაობა ჩაატარეს, მაგრამ ჯერ კიდევ დიდი მუშაობა გვმართებს.

საქ. მიწსახკომმა ფართო საკოლმეურნეო აქტივის, სპეციალისტების და მეცნიერ-მუშაკთა მონაწილეობით დაამუშავა საქართველოს ყველა რაიონისათვის პირუტყვის ჯიშობრივი დარაიონების გეგმა, რომელიც მოწონებულია საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს მიერ. აღნიშნული გეგმის დამუშავებამ საშუალება მისცა კოლმეურნეობებს ფართოდ გაავრცელონ პირუტყვის ისეთი ჯიშები, რომლებიც შეეფარდება კოლმეურნეობის სამეურნეო ინტერესებს.

ნუ დავივიწყებთ, რომ ჯოგის ჯიშობრივ გაუმჯობესებაში, მისი პროდუქტიულობის ამაღლებაში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მეტიზაციის კარგად ჩატარებას. პირუტყვის მეტიზაციის 1939 წლის გეგმები დროულად და მთლიანად რომ იქნას შესრულებული, საჭიროა სამიწათმოქმედო ორგანიზაციებმა, ზოოტექნიკურმა პერსონალმა და კოლმეურნეობებმა მიიღონ გადამწყვეტი ზომები ყველა მოსამზადებელ სამუშაოთა ჩატარებისათვის, როგორიც არის დასათესლ პუნქტების დროულად მოწყობა, ყველა საჭირო ინვენტარით და ინსტრუმენტით მომარაგება და, რაც მთავარია, საუკეთესო მწარმოებლების შერჩევა, გამოცდა და პუნქტებზე მიმაგრება. საჭიროა აგრეთვე პუნქტებზე მიმაგრებულ იქნან გამგეებად ისეთი სპეციალისტები, რომელნიც საუკეთესოდ დაეუფლნენ ამ საქმის ტექნიკას.

საკვები ბაზა წარმოადგენს უდიდეს გადამწყვეტ ფაქტორს საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარების საქმეში.

პირუტყვისათვის მტკიცე საკვები ბაზის შექმნას საქართველოში მთელი რიგი ნაკლოვანებანი ახასიათებს. წვრილფეხა რქიანი საქონლის (ცხვარი, თხა) მნიშვნელოვანი ნაწილი იკვებება მოძმე რესპუბლიკებში გამოყოფილ საზამთრო და საზაფხულო საძოვრებზე. რესპუბლიკის შიგნით არსებული საძოვრების დატვირთვა აჭარბებს ზოგიერთ საძოვრებზე ნორმალურ დატვირთვას ორჯერ და სამჯერ. მეორე მხრივ, გამოყენებული საძოვრები, როგორც საზამთრო, ისე საზაფხულო, უზრუნველყოფილი არ არის წყლით და მისასვლელი გზებით, რაც აძნელებს აღნიშნული საძოვრების მაქსიმალურად გამოყენებას.

მნიშვნელოვანი ნაწილი საზაფხულო საძოვრებისა აუთვისებელია გზების უქონლობის გამო. დასავლეთ საქართველოში აუთვისებელია სვანეთის საძოვრების დაახლოებით 13.000 ჰექტარი, აღმოსავლეთ საქართველოში მთავარ კავკასიონის ქედზე — ხევსურეთის საძოვრები, მთა-თუშეთის ზოგიერთი ნაწილი. დაახლოებით კი 25 ათასი ჰექტარი ჯერ კიდევ აუთვისებელია.

ამჟამად აუთვისებელ საძოვრებზე შესაძლებელია მოთავსდეს წვრილფეხა რქიანი პირუტყვი 150 ათას სულამდე, რაც საგრძნობლად შეამცირებს საზაფხულო საძოვრების არანორმალურ გადატვირთვას. ამჟამად ჩვენი გადაუდებელი ამოცანაა მთელ რიგ ღონისძიებათა ჩატარება საძოვრების გადაჭრით გაუმჯობესებისათვის, საძოვრების ნაყოფიერების აღდგენისათვის.

თუ დღემდე მთელი რიგი კოლმეურნეობები ყურადღებას არ აქცევდნენ საძოვრების გადაჭრით გაუმჯობესებას, ეს უმთავრესად იმით უნდა აიხსნას, რომ საქართველოში არსებული საზამთრო და საზაფხულო საძოვრები 875 ათას ჰექტარამდე, არ იყო მიმაგრებული კოლმეურნეობებზე მუდმივ სარგებლობაში. ამის გამო ყოველწლიურად იცვლებოდა საძოვრების მოსარგებლე კოლმეურნეობები, რითაც ხდებოდა საძოვრების სრული გაუპიროვნება. ამჟამად მიმდინარეობს საძოვრების კოლმეურნეობებზე მიმაგრება, რაც მნიშვნელოვან ღონისძიებას წარმოადგენს საძოვრების გაუმჯობესებისათვის.

განსაზოგადოებული პირუტყვის სულადობის ჩქარი ტემპით ზრდა, გარდა საკვები ბაზისა დამოკიდებულია აგრეთვე იმაზე, თუ რამდენად უზრუნველყოფილი იქნება ეს პირუტყვი შესაფერისი ბინებით.

უნდა აღინიშნოს, რომ ამ მიმართულებით დიდ გარღვევას აქვს ადგილი და განსაზოგადოებული პირუტყვის ზრდის ტემპებს მხარდამხარ ვერ მისდევს განსაზოგადოებული საძროხეების, ბოსლების და მეცხოველეობის ფერმების სადგომების მშენებლობა. კოლმეურნეობათა საწარმოო წლიური გეგმით მეცხოველეობის დარგში გათვალისწინებული მშენებლობა სისტემატურად არ სრულდება, დაწყებული მშენებლობანი ხშირად რამდენიმე წლობით არ მთავრდება. მაგალითად, ბორჩალოს რაიონში 1938 წელს დაწყებული საძროხეები და ბოსლები 550 სულის ტევადობისა დღემდე დაუმთავრებელია. ასევეა ბაშკიჩეთის, თბილისის, ამბროლაურისა და ლანჩხუთის რაიონებში. ნელი ტემპით მიმდინარეობს წელს კოლმეურნეობების საწარმოო გეგმით გათვალისწინებული ახალი მშენებლობაც. ბორჩალოს რაიონის კოლმეურნეობებს 1939 წ. გეგმით უნდა აეშენებინათ ახალი საძროხეები და ბოსლები 700 სულის, საღორეები 250 სულის, ცხვრის ბინები 1500 სულის ტევადობისა. დღემდე გეგმის არცერთი პროცენტი არ არის შესრულებული. წალკის რაიონს საძროხეების მშენებლობის გეგმა შესრულებული აქვს 10 პროცენტით, საგარეჯოს რაიონს არცერთი შენობა არ დაუმთავრებია. ჩოხატაურის რაიონმა უნდა ააშენოს 240 ძროხის ბინა, დღემდე მშენებლობა არ დაუწყიათ. ასეთი მდგომარეობა მშენებლობის დარგში, რა თქმა უნდა, უარყოფითად მოქმედებს პირუტყვის პროდუქტიულობის ამაღლების, შრომის სწორი ორგანიზაციის დანერგვისა და ყველა სავალდებულო ზოოვეტწესების გატარების საქმეზე.

მიუხედავად იმისა, რომ თვალსაჩინოდ გაუმჯობესდა ზოოვეტმომსახურება და პირუტყვის მოვლა, ზოგიერთ რაიონში მაინც ვხვდებით ზოოვეტმომსახურების შეუფასებლობას. არის ფაქტები, როდესაც ზუსტად არ ატარებენ სავალდებულო ზოოვეტმინიმუმს და სუსტად იბრძვიან პირუტყვის დაავადების კერის აღმოფხვრისათვის.

მთელი რიგი ზოოვეტუბნები დღემდე დაკომპლექტებული არ არის სათანადო სპეციალისტებით. ამჟამად რაიონებს აკლიათ შტატით გათვალისწინებული ზოოვეტპერსონალი 177 კაცის რაოდენობით, იმ დროს, როდესაც მთელ რიგ რაიონებში და რესპუბლიკის დაწესებულებებში ზოოტექნიკოსები და ვეტექიმები მუშაობენ არა თავის სპეციალობაზე, არამედ მოანგარიშეებად, ბუღჰალტრებად, ეკონომისტებად და სხვ. ასეთი მდგომარეობა ყოვლად შეუწყნარებელია და საჭიროა დაისვას საკითხი, რომ ყველა სპეციალისტი ზოოტექნიკოსი და ვეტექიმი გამოყენებულ იქნას თავის სპეციალობაზე.

სსრ კავშირის სახკომსაბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 8 ივლისის დადგენილებას დიდი ენტუზიაზმით და სიხარულით შეხვდნენ საქართველოს კოლმეურნეობები. ფართოდ ჩაღდება სოციალისტური შეჯიბრება. კოლმეურნენი აქტიურად გამოეხმაურნენ უკრაინისა და აზერბაიჯანის მეცხოველეობის მუშაკთა მოწოდებას სოციალისტური შეჯიბრების მოწყობაზე მეცხოველეობის შემდგომი აყვავება-ამაღლობისათვის.

ხორცის ჩაბარების ახალი სისტემა, რაც აღნიშნულია პარტიისა და მთავრობის 8 ივლისის დადგენილებაში, დიდ შეღავათებს ანიჭებს კოლმეურნეობების მოწინავე ფერმებს, რომლებმაც მნიშვნელოვანი შედეგები მოიპოვეს სულადობის ზრდისა და მისი ხარისხობრივი გაუმჯობესების საქმეში, ამავე დროს აიძულებს იმ კოლმეურნეობებს, რომლებიც ნაკლებად ზრუნავდნენ ან სრულიად არ ზრუნავდნენ საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარებაზე, ხელი მოჰკიდონ მეცხოველეობის სასაქონლო ფერმების ჩამოყალიბებას, მათში სულადობისა და ხარისხობრივი მაჩვენებლების ზრდას და მაქსიმალურად გამოიყენონ მთელი საკვები რესურსები.

საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარება მოითხოვს პრაქტიკული მუშაობის ფართოდ გაშლას. კოლმეურნეობებმა ყველა ზომა უნდა მიიღონ მეცხოველეობის განვითარების მიმდინარე წლის სახელმწიფო გეგმების გადაჭარბებით შესრულებისათვის, მოზარდეულის მთლიანად შენარჩუნებისათვის, პირუტყვის საკვებით და ბინებით უზრუნველყოფისათვის.

პირუტყვის გამოზამთრებისათვის მზადება ამთავითვე ენერგიულად უნდა გავაჩაღოთ. მიმდინარე წელს ყოველმხრივ ხელსაყრელი პირობებია იმისა, რომ გადაჭარბებით შესრულებულ იქნას თივის ალებისა და დამზადების გეგმები. თივის მოსავალი გასულ წელთან შედარებით მაღალია. საქართველოში 1 სექტემბრისათვის თივის აღების გეგმა 103,3 პროცენტით იყო შესრულებული, მაგრამ მაინც არიან ჩამორჩენილი რაიონები. ადიგენის რაიონში ამ რიცხვისათვის გეგმა შესრულებული იყო მხოლოდ 29 პროცენტით, ახალციხის რაიონში — 58 პროც., ბორჯომის რაიონში — 66,7 პროც., აღბულაღის რაიონში— 83,7-ით, და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიურ ოლქში—73,2 პროცენტით.

შეუწყნარებელ ჩამორჩენას აქვს ადგილი დასილოსების გეგმების შესრულებაში. თბილისის, საგარეჯოს, ხაშურის, გურჯაანის, ყარაიას, დუშეთისა და დასავლეთ საქართველოს უმრავლეს რაიონებს 1 სექტემბრისათვის დაწყებული არ ჰქონდათ საკვების დასილოსება.

განსაკუთრებით ყურადღება უნდა მიექცეს პირუტყვის საზამთროდ დაბინავებას. სამიწათმოქმედო ორგანოებმა და კოლმეურნეობებმა თავის დროზე უნდა უზრუნველჰყონ დამზადებული საკვების პირუტყვის ბინებთან მიზიდვა, მშენებლობის დამთავრება, არსებული ბინების შეკეთება, პირუტყვის სადგომებში საჭირო პროფილაქტიკური ღონისძიებების ჩატარება.

სსრ კავშირის სახკომსაბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილება „კოლმეურნეობებში საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარების ღონისძიებათა შესახებ“ ახალ ეტაპს ხსნის მეცხოველეობის შემდგომი სწრაფი განვითარებისათვის.

საქართველოში მოიპოვება ყველა პირობა იმისათვის, რომ ეს ისტორიული დადგენილება დროულად და ზუსტად იქნას შესრულებული. მხოლოდ საჭიროა მეცხოველეობის წინაშე მდგომი ამოცანების შესრულებისათვის მტკიცედ დაირაზმონ პარტიული, საბჭოთა და სამიწათმოქმედო ორგანოები, მთელი საკოლმეურნეო აქტივი და მეცხოველეობის დარგში მომუშავე ყველა სპეციალისტი. სტახანოვური მოძრაობის და სოციალისტური შეჯიბრების კიდევ უფრო ფართოდ გაშლის საფუძველზე მოვიპოვოთ ახალ-ახალი წარმატებანი სოციალისტური მეცხოველეობის შემდგომი აღმავლობის საქმეში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# პარტიული ცხოვრება

# ბოლშევიკურად აღვზარდოთ პარტიის წევრობის კანდიდატები

## მზრუნველობით გამოვზარდოთ ახალგაზრდა კომუნისტები

(კასპი, „კომუნისტის" სპეც. კორესპონდენტისაგან)

ჩვენი პარტიის XVIII ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა და ხალხთა საყვარელი ბელადის დიდი სტალინის გენიალურ მითითებათა საფუძველზე კასპის რაიონის პარტიულმა ორგანიზაციამ მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია პარტიის წევრობის კანდიდატების მარქსისტულ-ლენინური აღზრდის საქმეში.

პარტიის XVIII ყრილობის შემდეგ რაიონში შეიქმნა 7 პირველადი პარტორგანიზაცია (სოფელ თვალადი, ახალციხე, საქადაგიანო და სხვ). რაიონის პარტიულმა ორგანიზაციებმა XVIII პარტყრილობის შემდეგ საქ. კ. პ. (ბ) წევრობის კანდიდატად მიიღეს 107 კაცი და პარტიის წევრად გადაიყვანეს პარტწევრობის 83 კანდიდატი.

პარტიის კასპის რაიკომმა თავიდანვე სერიოზულად მოჰკიდა ხელი პარტიის წევრობის კანდიდატების იდეური აღზრდის საქმეს. ყრილობის შემდეგ რაიკომმა ოთხჯერ მოიწვია პარტკანდიდატთა სარაიონო თათბირი პარტიის პროგრამისა და წესდების საკითხებზე, პარტიის კანდიდატთა უფლება-მოვალეობათა შესახებ და სხვ. ყველა ჩატარებულ თათბირზე რაიკომმა მიიღო პრაქტიკული ღონისძიებანი და სისტემატურად ამოწმებს შესრულებას.

კასპის სტალინის სახელობის ცემენტის ქარხნის პირველადს პარტიულ ორგანიზაციაში (პარტბიუროს მდივანი—ა. მჟავანაძე) გაუმჯობესდა აღმზრდელობითი მუშაობა პარტკანდიდატებთან. პარტბიუროს წევრები ხშირად საუბრობენ მათთან პარტიისა და მთავრობის უმნიშვნელოვანეს დადგენილებებზე, ასწავლიან მათ ჩვენი პარტიის წესდებასა და პროგრამას, აცნობენ პარტიის ტაქტიკის საფუძვლებს და სხვ. ასეთმა მუშაობამ თავისი ნაყოფიც გამოიღო. საკანდიდატო სტაჟის გავლის დროს ბევრი მუშაკი დაწინაურებულ იქნა საპასუხისმგებლო თანამდებობაზე. მაგალითად, ქარხნის ახალგაზრდა რიგითი ინჟინერი ამხ. ბ. მესხი, რომელიც ამ ერთი თვის წინათ გადაიყვანეს პარტიის წევრად, დაწინაურებულ იქნა ამავე ქარხნის დირექტორად. საწარმოო საამქროს ინჟინერი ამხ. დ. ნოსელიძე ახლა ამავე საამქროს უფროსია. ახალგაზრდა კომუნისტი ამხ. ვ. მამულაშვილი ზეინკლობიდან საამქროში ბრიგადირად დააწინაურეს, მისი ბრიგადა ყველაზე მოწინავეა, 300-350 პროცენტით ასრულებს საწარმოო დავალებას. ქარხანაში სულ 31 პარტკანდიდატია. ყველა კანდიდატს მიცემული აქვს პარტიული დავალება. ისინი მუშაობენ საამქროებში, ბრიგადებში აგიტატორებად, კედლის გაზეთის რედაქტორებად, სარედაქციო კოლეგიის წევრებად, სხვადასხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების ხელმძღვანელებად.

სოფელ ხვითის კოლმეურნეობა „სწორი ნაბიჯის" პარტორგანიზაციაში (პარტორგი—ამხ. გ. კუნდუხაშვილი), პარტკანდიდატები აქტიურ მონაწილეობას იღებენ პარტიულ მუშაობაში.

მაგრამ ასე როდია ყველგან. ზოგიერთ საკოლმეურნეო პარტორგანიზაციაში ნაკლები ყურადღება ექცევა პარტიის წევრობის კანდიდატებთან მუშაობას. მაგალითად, სოფელ ლამისყანის ფ. მახარაძის სახელობის კოლმეურნეობასთან არსებული პირველადი პარტორგანიზაციის მდივანმა ამხ. ვ. თოთოსაშვილმა ისიც არ იცის, მიცემული აქვთ თუ არა პარტიული დავალებანი პარტიის წევრობის კანდიდატებს. აქედან გასაგებია, თუ როგორ დაეხმარება ის პარტკანდიდატებს იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლებაში. სოფელ თეზის კოლმეურნეობა „ვარსკვლავის" პირველადს პარტიულ ორგანიზაციაში პარტიის წევრობის 11 კანდიდატია. მათგან ამხ. ლ. დემეტრაშვილს, გ. კურდღელაშვილს, ა. ბუნტურს პარტიული დავალებები არა აქვთ. სხვა კანდიდატებს თუმცა აქვთ დავალებანი, მაგრამ ფორმალურად, პარტორგი თავს არ იწუხებს შესრულების შემოწმებით. მაგალითად, ამხ. დ. წიკლაური გამოყოფილი ყოფილა მესაუბრე-წამკითხველად № 4 ბრიგადაში, რაც მას აღარც კი ახსოვდა და დიდი „ფიქრის" შემდეგ მოაგონდა. პარტკანდიდატი არ. ბუნტური XVIII ყრილობის სახელობის ბრიგადის მოწინავე ბრიგადირია. ის საჭიროებს პარტორგანიზაციის დახმარებას საქ. კ. პ. (ბ) ისტორიის დამოუკიდებლად შესწავლაში, მაგრამ სად არის ეს დახმარება? საერთოდ უნდა ითქვას, რომ პარტკანდიდატთა დიდი უმრავლესობა ამ კოლმეურნეობაში სუსტად მუშაობს თავისი იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლებისათვის.

ფორმალურად უდგება კანდიდატებთან მუშაობას სოფელ აღაიანის კოლმეურნეობა № 1-ის პირველადი პარტორგანიზაციის პარტორგი ამხ. რ. ფეიქრიშვილი. პარტკანდიდატებთან (ამხ. ვ. ბუნტური, ზ. შულღიაშვილი და სხვ.) არავითარი აღმზრდელობითი მუშაობა არ სწარმოებს. რაიკომის ბიუროს 21 აგვისტოს სხდომაზე მოსმენილი უნდა ყოფილიყო ამხ. ფეიქრიშვილის მოხსენება პარტკანდიდატებთან მუშაობის შესახებ, მაგრამ სანამ ამ საკითხის განხილვა მოხდებოდა, ფეიქრიშვილი ბიუროს სხდომიდან გაიპარა.

რაიონული გაზეთი „კომუნიზმისაკენ" არადამაკმაყოფილებლად აშუქებს თავის ფურცლებზე პარტკანდიდატთა შორის პოლიტაღმზრდელობითი მუშაობას. 1 აპრილიდან 1 სექტემბრამდე ამ საკითხზე გაზეთში არცერთი სერიოზული წერილი არ დაბეჭდილა.

პარტიის კასპის რაიკომი და პირველადი პარტიული ორგანიზაციები უფრო მეტად უნდა დაეხმარონ ახალგაზრდა კომუნისტებს საკანდიდატო სტაჟის გავლის დროს პოლიტიკური შეგნებულობის დონის ამაღლებაში, მარქსისტულ-ლენინური თეორიის შესწავლაში, ჩვენი პარტიის პროგრამის, წესდებისა და ტაქტიკის საფუძვლების შეთვისებაში.

**ალ. გოგოლაძე**

## პარტიაში მიღება დიდი პასუხსაგები საქმეა

პარტიაში მიღებისადმი სწორი ხელმძღვანელობა და საერთოდ პარტიის ზრდის მოწესრიგების საქმე ერთ ფრიად მნიშვნელოვან და გადამწყვეტ რგოლს წარმოადგენს პარტორგანიზაციების საერთო მუშაობაში. ამიტომაც საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი და პირადად ხალხთა დიდი ბელადი ამხანაგი სტალინი ყოველთვის განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდნენ და უთმობენ პარტიაში მიღების საქმეს. პარტიაში მიღება უნდა ხდებოდეს უდიდესი დაკვირვებით; თვითეულ მისაღებს პარტორგანიზაციები გულმოდგინედ უნდა სწავლობდნენ და ღებულობდნენ ინდივიდუალური შესწავლის წესით ისეთ ადამიანთა რიცხვიდან, რომელთაც თავისი საქმიანობით დაამტკიცეს ერთგულება და სიყვარული ჩვენი პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლებისადმი.

საქ. კ. პ. (ბ) დუშეთის პარტიულმა ორგანიზაციებმა საგრძნობი მუშაობა ჩაატარეს ამ მიმართულებით. პარტიაში მიღების განახლებისას დუშეთის პარტიული ორგანიზაცია აერთიანებდა სულ 280 კომუნისტს, აქედან 190 წევრი იყო და 90 პარტიის წევრობის კანდიდატი, ამავე დროისათვის რაიონში იყო 24 პირველადი ორგანიზაცია, მიღების განახლებიდან დაარსდა კიდევ 19 ორგანიზაცია.

1936 წლის ნოემბრიდან 1939 წლის პირველ სექტემბრამდე პარტიაში მიღებულია სულ 537 კაცი, აქედან 394—პარტიის წევრობის კანდიდატად, 143 წევრად. ამრიგად პარტიული ორგანიზაცია გაიზარდა თითქმის ერთი-ორად.

XVIII ყრილობის შემდეგ პარტორგანიზაციაში მიღებულ იქნა 233 კაცი. მათ შორის 70 წევრად, ხოლო 163 პარტწევრობის კანდიდატად.

მთელი რიგი პარტორგანიზაციები ბოლშევიკურად იბრძვიან შინაპარტიული მუშაობის გაუმჯობესებისათვის, ლენინ-სტალინის პარტიაში ღებულობენ ჩვენი პარტიის საქმისათვის ერთგულ და თავდადებულ ადამიანებს. მაგალითად, რაიაღმასკომის პარტორგანიზაციამ (მდივანი—კვაჭაძე) 1938 წლის პირველი იანვრიდან პარტწევრობის კანდიდატად 44 ამხანაგი მიიღო და წევრად გადარიცხა 23 ამხანაგი, მლეთის ტერიტორიულმა პარტორგანიზაციამ პარტწევრობის კანდიდატად მიიღო 29 ამხანაგი, წევრად—6, მჭადიჯვრის საკოლმეურნეო პარტორგანიზაციამ — პარტწევრობის კანდიდატად—34, ხოლო წევრად—8.

მაგრამ არიან პარტიული ორგანიზაციები, რომელნიც სუსტად ხელმძღვანელობენ პარტიაში მიღებას. მაგალითად, წითელსოფლის საკოლმეურნეო პარტორგანიზაციას პარტიაში მიღების განახლებიდან დღემდე მიღებული ჰყავს პარტიის წევრობის 2 კანდიდატი და 1 წევრი. მლაშის საკოლმეურნეო პარტორგანიზაციამ მიიღო წევრობის კანდიდატად 4 კაცი, წევრად არც ერთი არ მიუღია, ბურღულის საკოლმეურნეო პარტორგანიზაციას, რომელიც თითქმის რვა თვეა დაარსდა არცერთი კაცი არ მიუღია, მაღაროს კარის ტერიტორიულმა პარტორგანიზაციამ წევრად მიიღო 2 კაცი, წევრობის კანდიდატად სამი კაცი, მაშინ როცა აღნიშნულ კოლმეურნეობებსა და საბჭოებში არც ისე ცოტა გვყავს საკოლმეურნეო მშენებლობისათვის თავდადებული ამხანაგები, რომელნიც ღირსი არიან ჩვენი პარტიის რიგებისა.

მიღებულთა შორის არიან ისეთი ამხანაგები, როგორიცაა, მაგალითად, საქ. უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ეკატერინე მოსიაშვილი, ზემო-მლეთის ამხ. ბერიას სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე (სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილე) ამხ. თოხაძე, საგზაო მშენებლობის სტახანოველი ამხ. ვ. ღუდაური და სხვები, რომელნიც თავდადებულად იბრძვიან შრომის მაღალი ნაყოფიერებისათვის. მიღებულთა შორის არის 163 კოლმეურნე, 27 კოლმეურნეობის თავმჯდომარე, 45 დაწყებითი სკოლის მასწავლებელი, 74 ქალი.

ანახლებდა რა პარტიაში მიღებას, საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი თავის დადგენილებაში 1936 წლის 29 სექტემბერს აღნიშნავდა: „თვითეული პარტიული ორგანიზაციის ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ ბოლშევიკური სიფხიზლის ყოველმხრივ ამაღლებასთან ერთად, მაღლა ეჭიროს ლენინის პარტიის დროშა და უზრუნველჰყოს პარტია უცხო, მტრული და შემთხვევითი ელემენტების გაძრომისაგან მის რიგებში" („საქ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსი" გვ. 400). დუშეთის რაიონის ზოგიერთმა პარტორგანიზაციამ და განსაკუთრებით მისმა მდივანმა უგულებელჰყვეს საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის ეს მითითება და ზერელედ მიუდგნენ პარტიაში მისაღებ პირებს, დეტალურად არ ამოწმებენ მათს ვინაობას, რის შედეგადაც პარტიაში პირველადი პარტორგანიზაციების მიერ ახალ მიღებულთა შორის აღმოჩნდნენ ჩვენი პარტიისათვის შეუფერებელი ადამიანები. მაგალითად, „რეკონმშენის" პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციამ (მდივანი — დალაქიშვილი) პარტწევრობის კანდიდატად მიიღო მოქ. ტუხაშვილი, რომელიც საბჭოთა სასამართლოს მიერ უკანასკნელად ორჯერ არის გასამართლებული, 1934 წელს პარტიიდან გარიცხული და სამეურნეო საქმიანობაში ჩამორჩენილია. ამავე ორგანიზაციამ მიიღო აგრეთვე ვინმე შაბურიშვილი, საბჭოთა სასამართლოს მიერ გასამართლებული მეფის ყოფილი ოფიცერი, მენშევიკების ჯარის ჯავშნიანი ნაწილების ყოფილი უფროსი.

საქვაჭრობის დუშეთის განყოფილებასთან არსებულმა პარტიულმა ორგანიზაციამ მიიღო ვინმე სევერიანე ჩხეიძე, რომელიც არის „ახალგაზრდა მარქსისტთა" ორგანიზაციის ყოფილი წევრი და მისი ერთერთი ორგანიზაციის ხელმძღვანელი, რომელმაც დამალა თავისი წარსული. ასეთსავე შემთხვევას ჰქონდა ადგილი პეტრიანთ-უბნის საკოლმეურნეო პარტორგანიზაციაში.

ცნობილია, რომ პარტიაში უნდა ვიღებდეთ პოლიტიკურად შემოწმებულ და სანდო პირებს, ამავე დროს სოციალისტური მშენებლობის ფრონტზე მოწინავეებს, სტახანოველებს და ჩვენი ქვეყნის სხვა ღირსეულ ადამიანებს. დუშეთის მტს-ის პარტიულმა ორგანიზაციამ (მდივანი—ძებისაშვილი) კი პარტიაში მიიღო გ. ხალბიშვილი, ზარმაცი და შრომის დეზერტირი, საბჭოთა სასამართლოს მიერ ქურდობისათვის გასამართლებული, რომელიც დირექციამ მოხსნა სამუშაოდან მუშაობის ჩაშლისათვის. ანანურის ტერიტორიულმა პარტორგანიზაციამ (მდივანი—ბედუკაძე) პარტიაში მიიღო ი. სინჯარაძე, რომელიც კომკავშირის რაიკომის მიერ მოხსნილი იყო კომკავშირის პირველადი ორგანიზაციის მდივნობიდან მუშაობის ჩაშლისათვის. ფასანაურის პარტორგანიზაციამ პარტიაში მიიღო „კოლმეურნე" ივანე ჯანიაშვილი, რომელსაც კოლმეურნეობაში არცერთი შრომადღე არ ჰქონდა გამომუშავებული. რაიკომის ბიურომ არ დაამტკიცა პირველადი პარტორგანიზაციების დადგენილებანი ასეთი პირების პარტიაში მიღების შესახებ.

არის ისეთი შემთხვევები, როცა პირველადი პარტიული ორგანიზაციები არღვევენ პარტიის წესდების მოთხოვნას და სათანადოდ არ აფორმებენ პარტიაში მისაღებთა დოკუმენტებს. ანკეტების არასწორად გაფორმების გამო 1939 წლის განმავლობაში რაიკომის მიერ დაბრუნებულია პარტიაში მისაღებთა 38 საქმე.

ფასანაურის პარტორგანიზაციამ მიიღო კანდიდატად ნადიბაიძე, „რეკონმშენი"-ს პარტორგანიზაციამ გრგოლაევი, ზემოშუახევის საკოლმეურნეო პარტორგანიზაციამ მარღიევი, მიღებულთა რეკომენდატორები იყვნენ ისეთი პირები, რომელთაც მათთან ერთად მუშაობის და ცნობის ერთი წლის სტაჟი არა ჰქონდათ.

ზემოთ დასახელებული ფაქტები იმას მოწმობენ, რომ ჩვენი რაიონის მთელი რიგი პარტორგანიზაციები დანაშაულებრივ დაუდევრობას იჩენენ პარტიაში მიღების საქმეში. ფაქტები იმასაც მოწმობენ, რომ რაიონული კომიტეტი ჯერ კიდევ ყველა პარტორგანიზაციას ვერ ხელმძღვანელობს კარგად ამ ფრიად მნიშვნელოვან საქმეში, რაც აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს რაიკომის ყველა მუშაკმა და დაეხმაროს პარტიულ ორგანიზაციებს, რათა ახლო მომავალში გამოსწორებულ იქნას ეს დეფექტები.

საქ. კ. პ. (ბ) დუშეთის რაიკომის პლენუმმა, აგვისტოს პირველ რიცხვებში მოისმინა რა „რეკონმშენი"-ს, ფასანაურის ტერიტორიული და მჭადიჯვრის საკოლმეურნეო პარტორგანიზაციების მდივნების მოხსენება პარტიაში მიღებისა და პარტიის წევრობის კანდიდატებთან მუშაობის დაყენების შესახებ, აღნიშნა ყველა ეს და მთელი რიგი სხვა ნაკლი, რის გამოც პარტორგანიზაციებს მიეცა დავალება, მკვეთრად გააუმჯობესონ მუშაობა.

პარტორგანიზაციის მდივნებმა მტკიცედ უნდა იხელმძღვანელონ საქ. კ. პ. (ბ) წესდებით და ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის არაერთგზისი მითითებით პარტიაში მისაღებთა ინდივიდუალურად შესწავლისა და პარტიაში მოწინავე და ყოველმხრივ შემოწმებულ ადამიანთა მიღების შესახებ.

მტკიცედ უნდა დავიხსომოთ და ვიხელმძღვანელოთ ხალხთა ბელადის დიდი სტალინის შემდეგი მითითებით: „სისტემატურად გავაუმჯობესოთ პარტიის შემადგენლობა, ავამაღლოთ პარტიის წევრთა შეგნებულობის დონე და ინდივიდუალური შერჩევის წესით მივიღოთ პარტიის რიგებში მხოლოდ შემოწმებული და კომუნიზმის საქმისადმი ერთგული ამხანაგები".

**გ. მიხანაშვილი**
საქ. კ. პ. (ბ) დუშეთის რაიკომის მდივანი.



ვ. ი. ჩაპაევი

## ინდივიდუალური შერჩევის პრინციპი დაივიწყეს

(ჭიათურა, საკ. კორესპონდენტისაგან)

ლენინის სახელობის მაღაროსთან არსებულმა პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციამ (მდივანი შ. ხვედელიძე) XVIII პარტიული ყრილობის შემდეგ მოწინავე მაღაროელებიდან პარტიის წევრობის კანდიდატებად მიიღო 21 მაღაროელი, კანდიდატობიდან წევრად გადაიყვანა 18 ამხანაგი. პარტიაში ახლად მიღებულები ა. ცარციძე, დ. ფხალაძე, დ. სამხარაძე, ა. ჩაჩანიძე და ი. დემეტრაძე მარგანეცის ამოღების ყოველდღიურ გეგმებს 150-200 პროცენტით ასრულებენ.

ვოროშილოვის სახელობის მაღაროსთან არსებულმა პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციამ (პარტბიუროს მდივანი — უ. კუპატაძე) უკანასკნელი 4 თვის განმავლობაში პარტიის წევრობის კანდიდატად მიიღო 17 ამხანაგი, მაგალითად, მაღაროს მთავარი ინჟინერი: გრ. კეკენაძე, ქარხნის მექანიკოსი გ. გაფრინდაშვილი, პირველი უბნის გამგე რ. ბადუნაშვილი, ქარხნის ინჟინერი ი. კაკაბაძე, აგრეთვე სტახანოველები ი. ყიფშიძე, ვ. არსენიძე, ვ. კუპატაძე და სხვ.

რაიონის ზოგიერთი პირველადი პარტიული ორგანიზაცია სერიოზულად ვერ მიუდგა პარტიაში მიღების საქმეს, მისაღები ამხანაგები გულდასმით არ შეისწავლა, რის გამო ადგილი ჰქონდა პარტიაში ხელაღებით მიღების შემთხვევებს. მაგალითად, სოფელ ზოდის სტალინის სახელობის კოლმეურნეობასთან არსებულმა პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციამ პარტიის წევრობის კანდიდატად მიიღო ლ. გამყრელიძე, რაიკომის ბიუროს სხდომაზე კი გამოირკვა, რომ ის ლოთია, დაკარგული აქვს ავტორიტეტი კოლმეურნეთა მასებში.

სოფელ სვერის ლენინის სახელობის კოლმეურნეობასთან არსებულმა პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციამ პარტიაში მიიღო არჯევანიძე, რაიკომის ბიუროს სხდომაზე კი გამოირკვა, რომ არჯევანიძე შეუფერებელია პარტიისათვის.

ბერიას სახელობის მაღაროსთან არსებულმა პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციამ პარტიაში მიიღო ს. ჯაფარიძე, რომელმაც ანკეტაში არ უჩვენა თავისი წარსული. რაიკომში შემოწმების დროს კი გამოირკვა, რომ ჯაფარიძე წინათ მენშევიკების ერთგული მსახური იყო.

რაიონში სუსტად მიმდინარეობს საკოლმეურნეო ორგანიზაციების ზრდა; სოფელ კალაურის კოლმეურნეობასთან არსებულ პირველად პარტიულ ორგანიზაციაში დღემდე არც ერთი კაცი არ მიუღიათ პარტიაში.

სოფ. ქვედა უსახელოს კოლმეურნეობა „წითელ ოქტომბერში" პარტიაში მიღების განახლებიდან მხოლოდ 2 კაცი მიიღეს, სოფელ შუქრუთის წითელ არმიის სახელობის კოლმეურნეობასთან არსებულ პირველად პარტიულ ორგანიზაციაში 3 ამხანაგი.

**ლ. ლოლაძე**

---

ანა ფურმანოვა

## ვ. ი. ჩაპაევის საბრძოლო გზა

(20 წელი დაღუპვიდან)

ჩაპაევმა თავისი სამხედრო მოქმედება იმ დროს დაიწყო, როდესაც ჩვენში ჯერ კიდევ ორგანიზაციულად ჩამოყალიბებული არ იყო წითელი არმია. მან თავისი მოქმედება დაიწყო სამარის გუბერნიაში წითელი გვარდიის რაზმების შექმნით, როდესაც ის ბრძოლით ართმევდა სოფლებს თეთრგვარდიელ ყაზახობას.

გრიგალივით, ქარიშხალივით დაჰქროდა ჩაპაევი, ყველგან სიხარული მიჰქონდა ჩაგრულთათვის და თავზარს სცემდა მტრებს. განთავისუფლებული სოფლების მოსახლეობა უდიდესი სიყვარულით ეკიდებოდა ჩაპაევს, იცოდა, რომ იგი მოსახლეობას არავის დააჩაგვრინებდა.

პატიოსანი და პირდაპირი, მართალი და გულისხმიერი, ჩაპაევი ვერ იტანდა უხეშობასა და თვითნებობას.

ერთი გლეხი-ქალი იგონებს ჩაპაევის გავლას სოფელზე და მოგვითხრობს მის არაჩვეულებრივ გულკეთილობასა და უანგარობაზე:

„აი შენ, ვასილი ივანოვიჩ, — უთხრა მას ამ ქალმა, — წაიყვანე ჩემი პეტრე, ჩვენ კი ეს-ეს არის ახლა გამოვეყავით მშობლებს, ქოხი ცუდი გვაქვს, ყოველი მხრიდან უბერავს და თოვლს გვაყრის. ჩაპაევი კი პასუხად მეუბნება: „ნუ სტირი, ილინიჩნა, ნუ სტირი, მე უზრუნველვყოფ ქოხით. რაღა ბევრი ვილაპარაკოთ, აიღე ჩემი სახლი კორნეევკაში, ვიყიდე, იქ ცხოვრება კი არ შემხვდება. გადაბარგდი და გაჭირვებასაც ბოლო მოეღება".

ვასილ ივანეს-ძე ხშირად მიაპყრობდა მეთაურთა ყურადღებას მებრძოლებისათვის მზრუნველობაზე. იგი ეუბნებოდა მათ:

„ყველაზე ძვირფასი რამ ჩვენთვის ადამიანებია, ბრძანება ისე დაამუშავე, რომ მოწინააღმდეგე დაამარცხო და შენი ადამიანები შეინარჩუნო".

ფრონტებზე მძიმე მდგომარეობა იყო. მოწყვეტილი იყო თურქესტანი, აღარ გვქონდა ბამბა, დადუმდნენ ფაბრიკების კორპუსები. კოლჩაკი ცდილობდა მოეწყვიტა პურით მდიდარი ვოლგის მხარე და მიისწრაფოდა დენიკინთან შესაერთებლად, რათა საერთო შეტევით ჩაეხრჩოთ ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკა. ამ დროს გადმოსროლილ იქნა დიდი ლენინის მოწოდება „ყველანი კოლჩაკის წინააღმდეგ!" პარტიამ გაგზავნა ამ ფრონტზე საუკეთესო ბოლშევიკები, მოახდინა კომკავშირელების, მუშების მობილიზაცია.

ყველა, ვინც კი ახალგაზრდა და ჯანსაღი იყო, მიისწრაფოდა შეეწირა თავისი ძალღონე დიდი საქმისათვის — დაეცვა ოქტომბრის რევოლუციის მონაპოვარი — ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკა. ივანოვოს ფეიქრებმა და ფეიქარმა-ქალებმა გაგზავნეს მოხალისეთა პირველი ათასეული — ფეიქრები. ისინი გაემგზავრნენ მიხეილ ვასილის-ძე ფრუნზეს მეთაურობით, რომელიც დანიშნული იყო აღმოსავლეთის ფრონტის მე-4 წითელი არმიის სარდლად. პირველის შემდეგ მალევე წავიდა მეორე ათასეული ამხანაგ ფურმანოვის მეთაურობით. ამხ. ფრუნზემ, რომელსაც ბევრი რამ გაეგონა ჩაპაევის გმირობაზე, მის გამბედაობასა და ვაჟკაცობაზე, სამარაში ჩასვლისთანავე გადასწყვიტა დაენიშნა ჩაპაევი ალექსანდროვგაისკის ბრიგადის მეთაურად, ფურმანოვი კი დანიშნა კომისრად. ფურმანოვი ბრიგადაში ჩაპაევზე ადრე მივიდა და დღითი დღე ელოდა მის მისვლას.

...დილით ადრე, 5-6 საათზე, ფურმანოვს ვიღაცამ კარზე მიუკაკუნა, პასუხს აღარ დაუცადა და სწრაფად შეაღო კარი. ოთახში შევიდა ჯანსაღ, წითელლოყა ბიჭების მთელი ჯგუფი, მათ წინ მიუძღოდა საშუალო ტანის კაცი, რომელსაც მფარავი ფერის ტყაპუჭი და ირმის ტყავის რბილი ჩექმები ეცვა. ის პირველი შევიდა, სწრაფად მივიდა ფურმანოვთან და ხელი გაუწოდა.

— გამარჯობათ, მე ჩაპაევი ვარ.

მეორე დღეს მას უკვე შეტევაზე მიჰყავდა პოლკები...

ფურმანოვი და ჩაპაევი განუყრელნი იყვნენ. ჩაპაევს შეუყვარდა ფურმანოვი, როგორც თავისი მეგობარი და მასწავლებელი, რომელიც ფრთხილად და მოთმინებით უდგებოდა მას, განუმარტავდა რა რევოლუციურ მოვლენათა დედაარსს.

1919 წლის გაზაფხულზე სიცხეები იყო. უკვე ბევრი ხანი გავიდა მას შემდეგ, რაც დაიწყო ჩვენი კონტრშეტევა გათავხედებული კოლჩაკელების წინააღმდეგ. ყოველდღე სისხლისმღვრელი ბრძოლები ჩაღდებოდა.

ხანგრძლივი გადასვლებითა და მოწინააღმდეგესთან შეტაკებებით დაქანცული მებრძოლები სოფელში შედიოდნენ, და იქვე, სადაც მოხვდებოდათ, მიწვებოდნენ და იძინებდნენ.

ერთხელ დილით ჩაპაევმა ნება დართო მებრძოლებს მდინარეში ცხენები ებანავებინათ. მტრის სანგრები, რომლებიც შემოზღუდული იყო მავთულის ხლართით, გადაჭიმული იყო სოფლის ჩრდილოეთით. მებრძოლებმა ტანთ გაიხადეს და ცხენები საბანაოდ წაიყვანეს... თავი ვერ შეიკავეს და თვითონაც დაიწყეს ბანაობა. ტანისამოსი, იარაღი, უნაგირები მდინარის ნაპირზე ეწყო.

უეცრად თოფისა და ტყვიამფრქვევის გრიგალისებური სროლა ასტყდა. შემდეგ წუთში ტყვიებმა ბანაობის ადგილსაც შეჰქნეს ზუზუნი. შეიქნა შეშფოთება, არევ-დარევა... უეცრად ჩაპაევი გამოჩნდა... სწრაფად გასცა განკარგულება, და მებრძოლები უკვე გზადაგზა ტანთ იცვამდნენ, რიგებად ეწყობოდნენ, რომ იერიშზე გადასულიყვნენ.

ჩაპაევის აუღელვებელმა და მტკიცე ხმამ ერთბაშად დამშვიდება შეიტანა მებრძოლთა რიგებში. მტრის იერიში მოგერიებულ იქნა, და შემდეგ ჩაპაევი დიდხანს იგონებდა ამ შემთხვევას, იცინოდა იმაზე, რომ მებრძოლები, რომლებმაც ტანთ ჩაცმა ვერ მოასწრეს, იერიშზე ტიტველი მიდიოდნენ.

1919 წლის ივნისის დამდეგს მ. ვ. ფრუნზე მივიდა მე-25 დივიზიის შტაბში, მოიწვია მეთაურთა და კომისართა თათბირი, გააცნო ისინი საერთო ვითარებას და დაუსახა დივიზიას ამოცანა—აეღო უფა, რისთვისაც გამოეყო დამკვრელი ჯგუფი.

8 ივნისის წინაღამეს მე-25 დივიზია შეუდგა მდინარე ბელაიას გადალახვას. ივანოვოს პოლკი პირველი გადავიდა მოპირდაპირე ნაპირზე.

უფა მდ. ბელაიას მარჯვენა ნაპირზე მდებარეობს. მდინარე ბელაიაზე თუჯის ვეებერთელა ხიდი გადებულია პირდაპირ ქალაქთან, მაგრამ მასზე გავლა შეუძლებელია. ის მთლად გაჭედილია საბარგო ვაგონებით, რომლებიც სავსეა ღორღით და სხვადასხვა ნაგავით, თან ხიდი ალბათ დანაღმულიცაა. ასე ვფიქრობდით ყველანი, ასე ფიქრობდა და ამბობდა ჩაპაევი, შემდეგ კი უთხრა ბრიგადის მეთაურ პოტაპოვს, რომელიც ხიდთან იდგა:

„შენ დაიხსომე, პოტაპოვ, რომ სიმამაცეც ზოგჯერ სულელურია, ასეთ სიმამაცეს მხოლოდ ზიანი მოაქვს. ხიდს ნუ ეკვეთები—ის ალბათ ასაფეთქებლად მზადაა. ყველანი კოლოებივით დაიფანტებით ჰაერში. ჯერ კარგად გაიგე, ფუჭად კი ნუ აჩქარდები. დააკვირდი, მიიხედ-მოიხედე, მოსინჯე, ყველგან დაათვალიერე და მერე შეუდექ საქმეს, შუბლით კედელს კი ნუ დაეჯახები..."

3 საათზე მოწინააღმდეგე დიდი ძალებით კონტრიერიშზე გადმოვიდა. მტრის ახალი ძალების გამოჩენამ არევ-დარევა შეიტანა წითელი მებრძოლების რიგებში. ივანოვოს პოლკმა უკანდახევა იწყო. ჩაპაევი პირადად ხელმძღვანელობდა მდინარეზე გადასვლას...

უკვე გაჩაღდა პირველი შეტაკებები, გაიმართა სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა. ივანოვოს პოლკის წუთიერმა არევ-დარევამ აიძულა ფრუნზე შაშხანით ხელში გაქანებულიყო წინ ძახილით: „ივანოველებო, მომყევით იერიშზე, წინ, თეთრების წინააღმდეგ!" წითელი წყებები ერთსულოვნად მობრუნდნენ, გათკეცებული ძალით ეკვეთნენ მტერს და შეტევაზე გადავიდნენ მთელი ფრონტით. კრასნი იარს თავს დასტრიალებდნენ მოწინააღმდეგის თვითმფრინავები თვითმფრინავები გააფთრებით უშენდნენ ტყვიამფრქვევს გადასვლის ადგილს. ფრუნზე რომ ნაპირს მიუახლოვდა, კოლჩაკის მფრინავებმა ყუმბარები გადმოჰყარეს. ერთი ყუმბარა ფრუნზეს ცხენის ფეხებქვეშ აფეთქდა. მიხეილ ვასილის-ძემ კონტუზია მიიღო. ხოლო ბრძოლის მინელების წინ, როდესაც კიდევ გრძელდებოდა უკანასკნელი შეტაკებანი, მებრძოლთა წყებებს უცებ მოედო ამბავი: ჩაპაევი დაიჭრაო!

ტყვიამ მას თავის ქალა გაუხვრიტა და ძვალში გაეჭედა... ჩაპაევი უძრავად იჯდა, ტკივილს არ უჩიოდა, არ კვნესოდა. საერთო ძალღონით მოახერხეს დაეტოვებინათ ლოგინში.

ღამით ოფიცერთა ნაწილებმა კვლავ დაიწყეს იერიში, მაგრამ ჩვენს ნაწილებს როდი ეძინათ. ათობით ტყვიამფრქვევები მზად იყვნენ დახვედროდნენ მტერს, რომელიც ღამის წყვდიადში გვეპარებოდა. როდესაც იგი ახლოს მოვიდა, მებრძოლები წამოცვივდნენ და „ვაშას" ძახილით ეკვეთნენ მტერს. ოფიცერთა ნაწილებმა, რომლებიც მოდიოდნენ მოუხრელი ნაბიჯით, პირში პაპიროსებით, ვერ გაუძლეს ფეხშიშველა, ტანშიშველა, დაღლილი მებრძოლების შეტევას და გაიქცნენ.

განთავისუფლებულ ქალაქში სხვადასხვა მხრიდან შედიოდა წითელი არმია. წითელმა ჯარებმა ამხ. ფრუნზეს ხელმძღვანელობით გამანადგურებელი ლახვარი ჩასცეს კოლჩაკს. გმირული დივიზიის ბრწყინვალე ხელმძღვანელობისათვის ამხანაგები ფრუნზე და ჩაპაევი დაჯილდოებულ იქნენ წითელი დროშის ორდენებით.

როდესაც ჩაპაევის დივიზია ქალაქში შევიდა, ქალაქის მუშების აღტაცება და სიხარული აუწერელი იყო. ისინი აღფრთოვანებით გაიძახოდნენ:

„დიდება ჩაპაევს! ვაშა გმირს!"

ჩაპაევი არ იყო ქალაქში შესულ წითელ ჯარებს შორის. საყოველთაო სიხარულის ამ წუთებში ის ლოგინში იწვა ბინტებით შეხვეული. მაგრამ მეორე დღესვე ველარ აიტანა და ცხენით მიფრინდა უფაში. ჭრილობას გზადაგზა იჩენდა. ხანმოკლე შესვენება უფაში, და დივიზია გაემართა ურალის ველებისაკენ—ურალსკის განსათავისუფლებლად. ეს ქალაქი უკვე სისხლისაგან იცლებოდა. თეთრგვარდიელ ყაზახთა ურდოები მას ყოველი მხრიდან გარს ეხვივნენ.

ჩაპაევის დივიზიის მოსვლა რომ გაიგეს, თეთრგვარდიელმა ყაზახებმა უკან დაიხიეს, გადამწყვეტ ბრძოლას მოერიდნენ. მუსიკითა და სიმღერით, მწყობრ კოლონებად შედიოდნენ წითელი ნაწილები განთავისუფლებულ მოზეიმე ქალაქში.

დივიზია სამხრეთისაკენ, ზღვისაკენ მიემართებოდა. მას შემდეგ, რაც განთავისუფლებულ იქნა ურალსკი, დაკავებულ იქნა ლბიშჩენსკი და სახარნაია, ჩაპაევის დივიზიის ძლევამოსილი სვლა შეუფერხებლად მიიმართებოდა გურიევისაკენ.

დადგა შემოდგომა. წინსვლა სულ უფრო-და-უფრო ძნელი ხდებოდა. თეთრგვარდიელთა სარდლობა კარგად ითვალისწინებდა ამას და გადასწყვიტა სწორედ აქ მოესპო ჩაპაევი და მისი შტაბი.

დაახლოებით ამ დროს ფურმანოვი თურქესტანის ფრონტის პოლიტსამმართველოში გაიწვიეს. ჩაპაევი მძიმედ განიცდიდა ფურმანოვის წასვლას.

ფურმანოვის ნაცვლად კომისრად დაინიშნა ძველი ბოლშევიკი ბატურინი.

დგებოდა უკანასკნელი საბედისწერო დღეები. ჩაპაევს არაერთხელ აფრთხილებდნენ, ლბიშჩენსკის გარშემო ყაზახთა რაზმები დაძრწიანო.

ჩაპაევმა მიიღო მთელი რიგი ზომები. გაგზავნა მზვერავები და თვითმფრინავები. მაგრამ ვერც ერთმა და ვერც მეორემ ვერ აღმოაჩინეს მტერი, რომელიც თითქმის უშუალოდ მოადგა ქალაქს.

ახლა სავსებით ცხადია ავიარაზმის პირადი შემადგენლობის გამცემლური როლი. ის უეჭველად დაკავშირებული იყო თვით დივიზიის შტაბში მოკალათებულ გამცემლებთან.

1919 წლის 5 სექტემბრის წინაღამეს, დილის ოთხ საათზე, მტერი ვეებერთელა მასით თავს დაესხა ლბიშჩენსკს და პირდაპირ დაწესებულებებს მიაშურა. კავშირი ყოველმხრივ გადაჭრილ იქნა. საერთო არევ-დარევაში თავდაპირველად ძნელი იყო რაიმეს გარჩევა. თოფის სროლა და ტყვიამფრქვევის კაკანი, ღრიანცელი, მცხოვრებთა სასოწარკვეთილი ყვირილი, — ყველაფერი აირია შემაძრწუნებელ კაკოფონიად. ამ დროს მთავარ ქუჩაზე საზიდათი შემოვიდა მეტყვიამფრქვევე, რომელიც ორივე ხელით ჩასჭიდებოდა ტყვიამფრქვევს. მას ეცა შტაბის უფროსი, ყოფილი ოფიცერი ამხ. ნოვიკოვი, გადმოაგდო ის საზიდადან, წაართვა ტყვიამფრქვევი და დაუშინა შეტევაზე მომავალ თეთრგვარდიელ ყაზახებს. მასთან ერთად იყო კომისარი ბატურინიც. ორი ლენტი დასცალეს, მაგრამ უცებ ტყვია გაიჭედა, ტყვიამფრქვევმა მუშაობა შეწყვიტა. თეთრგვარდიელმა ყაზახებმა ისარგებლეს მომენტით, მიესივნენ და ჩეხა დაუწყეს მამაც მეტყვიამფრქვეეებს. ბატურინი ლუკმა-ლუკმა აჰკუწეს. მძიმედ დაჭრილი ნოვიკოვი სისხლის მოწამვლისაგან გარდაიცვალა.

ამ დროს ჩაპაევმა გარს შემოიკრიბა ორასამდე მამაცი და ცდილობდა გაერღვია ცხენოსანი ყაზახების ხშირი წყება. მაგრამ ვაზნები უთავდებოდათ, მათი შევსება კი არსაიდან შეიძლებოდა. აი ჩვენი ამხანაგები უკვე მთლად მიიმწყვდიეს მდინარის ნაპირთან, აი ისინი თითქმის უიარაღონი დგანან, მათი ნაწილი ციცაბო ნაპირიდან ეშვება ურალის მღვრიე ტალღებში, ნაწილი კი ადგილზევე იღუპება.

ჩაპაევი თავს იმაგრებს. ერთ ხელში შაშხანა უჭირავს, მეორეში რევოლვერი. გამოსავალი არ არის. ის უკვე დაჭრილია ხელსა და სახეში. ლოყაზე წურწურით ჩამოსდის სისხლი, რომელსაც პერანგის სახელოთი იწმენდს. მის გვერდითაა პეტკა, საყვარელი შიკრიკი, რომელმაც მასთან ერთად განვლო მთელი საბრძოლო გზა. თეთრგვარდიელთა ცეცხლქვეშ ჩაპაევი წყნარად ჩაუშვებს აბობოქრებულ ურალში. მტრის ტყვიები წვიმასავით მოდიოდა, ჩაპაევი სისხლისაგან იცლებოდა, მაგრამ მაინც ცდილობდა მიეღწია მდინარის შუაგულამდე. პეტკა კი ჩაპაევის უკანასკნელ გზას იცავდა; როდესაც ყაზახები უშუალოდ მიუახლოვდნენ, მან ნაგანის ექვსი ტყვია ესროლა მტრებს, მეშვიდეთი კი თავი მოიკლა.

აი უკვე ახლოა ნაპირი, ნახევარი მდინარე უკანაა. ისინი, ვინც ჩაპაევთან ერთად მიცურავდა, ამბობენ, რომ შუა მდინარიდან ის უკვე აღარ დაუნახავთ. როგორც ჩანს, მტრის ტყვია თავში მოხვდა და ურალის მღვრიე ტალღებში ჩამარხა გმირი.

ასე დაიღუპა ნამდვილი სახალხო გმირი, სახელოვანი მეთაური, ვასილ ივანეს-ძე ჩაპაევი. მაგრამ მისი ხსოვნა ცოცხლობს და მარად იცოცხლებს შრომის ადამიანებში, რომელთა ბედნიერებასაც ვასილ ივანესძემ თავისი შესანიშნავი სიცოცხლე შესწირა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გერმანია—პოლონეთის ომი

**ბერლინი**, 2 სექტემბერი (საკდესი). გერმანიის არმიის უმაღლესი სარდლობა იუწყება, რომ გერმანიის ჯარი წინ მიიწევს ყველა ფრონტზე. გერმანიის ჯარის ჯგუფებმა ზემო სილეზიის სამრეწველო ოლქის სამხრეთ ნაწილში პლესი დაიკავეს და ბიალას უახლოვდებიან. ჩრდილოეთით გერმანიის ჯარი მდინარე ვარტას უახლოვდება. პოლონეთის სამხრეთ-დასავლეთ სამრეწველო რაიონში სატანკო შენაერთები ჩენსტოხოვის ჩრდილოეთით მიიწევენ რადომსკისაკენ. ქალაქი ველიუნი აღებულია. კემპნოსთან განლაგებული ნაწილები სწრაფად მიიწევენ სერაძისაკენ.

პომერანიის საარმიო ჯგუფმა მდინარე ბრახა გადალახა და ვისლას მიაღწია გრაუდენცის სამხრეთ-დასავლეთით. ამრიგად, დამთავრებულია იმ ჯგუფთან შეერთება, რომელიც გრაუდენცის მიმართულებით მოქმედებს აღმოსავლეთ პრუსიის მხრით. კორიდორის ჩრდილოეთ ნაწილში მყოფს პოლონეთის ჯარს გზა მოჭრილი აქვს. დაიწყო წინსვლა სამხრეთისაკენ აღმოსავლეთ პრუსიის მხრით. გერმანიის ჯარი პრასნიშისაკენ მიიწევს.

გერმანიის საჰაერო ძალები დღეს თავს დაესხნენ პოლონეთის სამხედრო ობიექტებს. ყუმბარები დაუშინეს გდინიას, კრაკოვის, ლოძის, რადომის, დემბლინის, ბრესტე ტერესპოლის, ლიუბლინის, ლუცკის, ვარშავის, ოკეცეს, პოზნანის და ლავიცეს სამხედრო ობიექტებს და უმნიშვნელოვანეს რკინიგზის ხაზებს.

გერმანიის საზღვაო სამხედრო ჯარები, რომელნიც განლაგებული არიან დანციგის ბუხტის წინ, ყუმბარებს უშენდნენ ხელის სიმაგრეებს. საზღვაო საჰაერო ძალების შენაერთებმა მრავალჯერ დაუშინეს ყუმბარები გდინიას ნავსადგურს.

* * *

**ვარშავა**, 2 სექტემბერი (საკდესი). გამოქვეყნდა უმაღლესი მთავარსარდლის მთავარი შტაბის პირველი კომუნიკე 1 სექტემბრის საომარი მოქმედების შესახებ. კომუნიკეში აღნიშნულია, რომ გერმანიის ავიაციამ მთელი რიგი თავდასხმები მოაწყო 1 სექტემბერს პოლონეთის სხვადასხვა რაიონის ცალკეულ პუნქტებზე. გერმანიის თვითმფრინავებმა ყუმბარები დაუშინეს: აუგუსტუვს, ნოვი დვურს, კუნძულ მაზოვეცკის, ტჩევს, პეცკს, ზამბრუვს, რადომსკოს, ტორუნს, კუტნოს, ტუნელს, კრაკოვს, გროდნოს, ჯებინს, გდინიას, იასლოს, ტომუშუვს, კატოვიცს.

დანციგის რაიონში გერმანიის ავიაცია თავდასხმებს აწყობს გდინიაზე, რომელსაც დღევანდელი დღის განმავლობაში არაერთხელ დაუშინეს ყუმბარები.

ავიაციის თავდამსხმელებთან ერთად დაიწყო გერმანიის სახმელეთო ჯარის მოქმედება. გრძელდება ბრძოლა სანაპირო ზონაში. ყველაზე დაძაბული ბრძოლაა სილეზიაში.

* * *

**ბერლინი**, 3 სექტემბერი (საკდესი). გერმანიის არმიის უმაღლესი სარდლობის 2 სექტემბრის დღის მეორე ნახევრისა და 3 სექტემბრის ნაკრებ ცნობაში აღნიშნულია, რომ გერმანიის ჯარმა დაიკავა ქალაქი ჩენსტოხოვი (კელცის სავოევოდო). გერმანიის ჯარმა ქალაქ ველუნის აღმოსავლეთით გადალახა მდინარე ვარტა. კორიდორში მომწყვდეულმა პოლონეთის ჯარმა სცადა კორიდორიდან გამოსულიყო, მაგრამ უკუქცეულ იქნა გერმანიის ჯარის მიერ.

ზემო სილეზიაში დაკავებულია ქალაქი ბერუნი. ჯარის ერთმა ჯგუმა, რომელიც პომერანიის რაიონში მოქმედებდა, გადალახა მდინარე ბრახა და მიაღწია ვისლას, გრაუდენცის სამხრეთ-დასავლეთით. პოლონეთის ჯარს, რომელიც კორიდორის ჩრდილოეთ ნაწილში იმყოფებოდა, გზა მოჭრილი აქვს.

გერმანიის ავიაცია ბევრჯერ დაესხა თავს პოლონეთის სამხედრო ობიექტებს. საჰაერო ბრძოლების დროს ჩამოგდებულია პოლონეთის მრავალი თვითმფრინავი. გერმანიის თვითმფრინავებმა ყუმბარები დაუშინეს პოლონეთის აეროდრომებსა და ანგარებს გდინიაში, კრაკოვში, ლოძში, რადომში, ლიუბლინში, ლუცკში, ვარშავაში, პოზნანსა და ოპტეცკში.

გერმანიის ავიაციამ ყუმბარები დაუშინა აგრეთვე უმნიშვნელოვანეს რკინიგზებს, ამასთან დაანგრია რკინიგზის ლიანდაგები და გამოიწვია სამხედრო ტრანსპორტების მარცხი.

* * *

**ვარშავა**, 3 სექტემბერი (საკდესი). პოლონეთის დეპეშათა სააგენტო რადიოთი გადმოგვცემს პოლონეთის არმიის გენერალური შტაბის შემდეგ ნაკრებ ცნობას 2 სექტემბერს წარმოებული საომარი მოქმედების შესახებ:

**ავიაციის მოქმედება:** გერმანიის ავიაციის სამზვერაო გაფრენები გრძელდებოდა პოლონეთის მთელს ტერიტორიაზე. მრავალ პუნქტს ყუმბარები დაუშინეს.

2 სექტემბერს, 20 საათსა და 30 წუთზე, ვარშავამ განიცადა გერმანიის ავიაციის ახალი, მერვე თავდასხმა. პოლონეთის ავიაციამ ორი დღის განმავლობაში 12 თვითმფრინავი დაჰკარგა.

**სახმელეთო ჯარის მოქმედება:** გერმანიის ჯარის ნაწილები განაგრძობდნენ გააფთრებულ შეტევას კარპატისპირა დასავლეთი რაიონის ფრონტზე, სილეზიაში და ჩენსტოხოვის მიმართულებით. ფრონტზე პომერანიასა და აღმოსავლეთ პრუსიაში მედგარი ბრძოლა სწარმოებს საზღვრისპირა რაიონში. გდინიას რაიონში ბრძოლა სწარმოებს. ვესტერპლატე განაგრძობს თავდაცვას.

## ჰავასის სააგენტოს ცნობა

**პარიზი**, 2 სექტემბერი (საკდესი). როგორც ჰავასის სააგენტო რადიოთი იუწყება, დღეს გერმანიის 20 თვითმფრინავი თავს დაესხა ვარშავას. პოლონეთის ავიაგამანადგურებლებმა იერიში მიიტანეს გერმანიის ესკადრილიაზე 1500 მეტრ სიმაღლეზე.

## გერმანიის საელჩო ვარშავიდან წავიდა

**ვარშავა**, 2 სექტემბერი (საკდესი). პოლონეთის რადიო იუწყება, რომ გერმანიის ვარშავის საელჩოს წევრები დღეს გერმანიაში გაემგზავრნენ.

## გერმანია უარყოფს ინგლისის რადიოცნობას

**ბერლინი**, 2 სექტემბერი (საკდესი). გერმანიაში გამოქვეყნდა ოფიციალური განცხადება პასუხად იმისა, რომ ინგლისის რადიო ამტკიცებს, თითქოს ინგლისის მთავრობას არ აცნობეს ჰიტლერის მიერ პოლონეთისადმი წარდგენილი წინადადებანი, რომელთა საფუძველზეც უნდა გადაწყვეტილიყო დანციგისა და კორიდორის პრობლემა. გერმანიის განცხადებაში ნათქვამია, რომ გერმანიის წინადადებანი პოლონეთისადმი, რომლებიც 31 აგვისტოს საღამოს გამოქვეყნდა, პირადად რიბენტროპმა ტექსტუალურად აცნობა ინგლისის ბერლინელ ელჩს ჰენდერსონს ჯერ კიდევ 30 აგვისტოს საღამოს. გარდა ამისა, — ნათქვამია განცხადებაში, — გერმანიის ამ წინადადებათა უმნიშვნელოვანესი პუნქტები რიბენტროპმა დაწვრილებით განუმარტა ინგლისის ელჩს.

## სასკოლო მეცადინეობა გერმანიაში განსაკუთრებულ განკარგულებამდე შესწყდა

**ბერლინი**, 2 სექტემბერი (საკდესი). გერინგმა განკარგულება გასცა, რომ მთელს გერმანიაში შესწყდეს სასკოლო მეცადინეობა მანამდე, ვიდრე განსაკუთრებული მითითება გამოიცემოდეს.

## ჰალიფაქსის გამოსვლა

**ლონდონი**, 2 სექტემბერი (საკდესი). დღეს შესდგა პარლამენტის სხდომა, როგორც რეიტერის სააგენტო რადიოთი იუწყება, დღეს საღამოს ლორდთა პალატაში გამოვიდა ჰალიფაქსი ინფორმაციით საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ. ჰალიფაქსმა განაცხადა, რომ გუშინ 21 საათსა და 30 წუთზე ჰენდერსონმა (ინგლისის ელჩი ბერლინში) რიბენტროპს გადასცა გაფრთხილების ნოტა, რომელიც გუშინ წაკითხულ იქნა პარლამენტში. ჰიტლერის პასუხი ამ ნოტაზე ჯერ კიდევ არ არის მიღებული.

პასუხის დაგვიანება,—სთქვა ჰალიფაქსმა, — შეიძლება იმასთან იყოს დაკავშირებული, რომ იტალიის მთავრობამ წამოაყენა წინადადება, რათა დაუყოვნებლივ შესწყდეს საომარი მოქმედება და ამის შემდეგ დაუყოვნებლივ იქნას მოწვეული ხუთი სახელმწიფოს—ინგლისის, საფრანგეთის, პოლონეთის, გერმანიისა და იტალიის კონფერენცია. როგორც ჰალიფაქსმა განაცხადა, „ინგლისის მთავრობას შესაძლებლად არ მიაჩნია ასეთ კონფერენციაში მონაწილეობის მიღება მანამდე, სანამ პოლონეთი თავდასხმის ობიექტს წარმოადგენს". ინგლისის მთავრობა,—სთქვა ჰალიფაქსმა, — იძულებული იქნება მიიღოს ზომები, თუ გერმანიის სამხედრო ძალები გაწვეული არ იქნება პოლონეთის ტერიტორიიდან.

თუ გერმანიის მთავრობა დადებით პასუხს გასცემს, მაშინ შეიქმნება იმის შესაძლებლობა, რომ მოლაპარაკება დაიწყოს პოლონეთისა და გერმანიის მთავრობებს შორის. თუ გერმანიისა და პოლონეთის მთავრობები მოისურვებენ, რომ სხვა სახელმწიფოებმა მონაწილეობა მიიღონ ამ მოლაპარაკებაში, ინგლისის მთავრობა თანახმა იქნებოდა მიეღო ასეთი წინადადება.

ჰალიფაქსმა განაცხადა აგრეთვე, რომ ინგლისის მთავრობა არა სცნობს გერმანიასთან დანციგის შეერთების ფაქტს.

როგორც სააგენტო გადმოგვცემს, ანალოგიური განცხადებით გამოვიდა ჩემბერლენი თემთა პალატაში.

## მდგომარეობა საფრანგეთში

**ბერლინი**, 2 სექტემბერი (საკდესი). გერმანიის საინფორმაციო ბიურო რადიოთი იუწყება, რომ საყოველთაო მობილიზაციასთან დაკავშირებით საფრანგეთში დღეს სავსებით დაიხურა საფრანგეთ-შვეიცარიის საზღვარი. შესწყდა მატარებლების მიმოსვლა საფრანგეთის სანაპირო ქალაქებსა და ჟენევას შორის.

## საფრანგეთის პარლამენტის სხდომა

**პარიზი**, 2 სექტემბერი (საკდესი). როგორც ჰავასის სააგენტო რადიოთი იუწყება, დღეს საღამოს პარიზში შესდგა საფრანგეთის დეპუტატთა პალატის სხდომა.

პალატის თავმჯდომარემ ერიომ გახსნა სხდომა და შეიტანა კანონპროექტი ნაციონალური თავდაცვისათვის საჭირო კრედიტების შესახებ. დალადიემ წაიკითხა პრეზიდენტის მიმართვა, სადაც ნათქვამი იყო, რომ საფრანგეთი „თავისი მოვალეობის ერთგული რჩება". შემდეგ დალადიემ გამოაქვეყნა მთავრობის დეკლარაცია, სადაც ნათქვამია, რომ თუ კვლავ მიჰმართავენ შერიგების ცდას საფრანგეთი მზად არის მონაწილეობა მიიღოს მასში.

მთავრობის დეკლარაციის გამოქვეყნების შემდეგ დეპუტატთა პალატამ დაამტკიცა ნაციონალური თავდაცვისათვის საჭირო კრედიტები 60 მილიარდი ფრანკის რაოდენობით.

რამდენიმე ხნის შემდეგ გაიმართა საფრანგეთის სენატის სხდომა, სადაც დაისვა აგრეთვე საკითხი ნაციონალური თავდაცვისათვის საჭირო კრედიტების შესახებ და წაკითხულ იქნა პრეზიდენტის მიმართვა და მთავრობის დეკლარაცია.

## ჰიტლერის პასუხი რუზველტის წინადადებაზე

**ბერლინი**, 3 სექტემბერი (საკდესი). გამოქვეყნებულია ჰიტლერის პასუხი რუზველტის მიმართვაზე საომარ მოქმედებაში მონაწილე სახელმწიფოებისადმი, — საჯაროდ განაცხადონ, რომ ისინი ყუმბარებს არ დაუშენენ სამოქალაქო მოსახლეობას, თუ მოწინააღმდეგეც დაიცავს ამავე წესებს.

ჰიტლერის პასუხი რუზველტის წინადადების მიღების დღესვე გადაეცა ამერიკის შეერთებული შტატების საქმეთა რწმუნებულს ბერლინში თხოვნით — დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ რუზველტს. ჰიტლერი აცხადებს, რომ მან ბრძანება მისცა გერმანიის სამხედრო-საჰაერო ძალებს თავიანთი მოქმედება შემოფარგლონ მხოლოდ სამხედრო ობიექტებით. ამასთან ჰიტლერი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ეს ბრძანება ძალაში დარჩება იმ პირობით, თუ ამავე პრინციპებს დაიცავენ მოწინააღმდეგის საჰაერო ძალები.

ამავე დროს იუწყებიან, რომ გუშინ რიბენტროპის განკარგულებით პოლონეთის საელჩოს ბერლინში გადაეცა ნოტა, რომელშიაც ნათქვამია, რომ გერმანიის საჰაერო ძალებმა ბრძანება მიიღეს თავიანთი მოქმედება პოლონეთში განსაზღვრონ სამხედრო ობიექტებით. ამასთანავე პოლონეთის საელჩოს ეცნობა, რომ პოლონეთმაც ყოველ მიზეზს გარეშე უნდა დაიცვას ეს წესები.

## ცნობა დანციგიდან

**ბერლინი**, 2 სექტემბერი (საკდესი). დანციგიდან გადმოგვცემენ, რომ გუშინ სამხედრო ნაწილებმა დანციგის ტერიტორიაზე პოლონეთის რკინიგზის მთელი სასამსახურო შენობები დაიკავეს. ეს ოპერაცია, როგორც ინფორმაციაში ნათქვამია, ისე ჩატარდა, რომ პოლონელებს დიდი წინააღმდეგობა არ გაუწევიათ.

* * *

**ბერლინი**, 2 სექტემბერი (საკდესი). ოფიციალურად იუწყებიან, რომ გუშინდლიდან დანციგის რადიოსადგური გერმანიის სახელმწიფო რადიოსადგურად გამოცხადდა.

## ბურკჰარდტმა დასტოვა დანციგი

**ბერლინი**, 2 სექტემბერი (საკდესი). დანციგიდან იუწყებიან, რომ გუშინ დანციგის სახელმწიფოს მეთაური ფორსტერი ერთა ლიგის კომისარ ბურკჰარდტს ეწვია. გუშინ საღამოს ბურკჰარდტმა თავის თანამშრომლებთან ერთად დასტოვა დანციგი.

## ფორსტერის განკარგულება

**ბერლინი**, 2 სექტემბერი (საკდესი). 1 სექტემბერს ფორსტერმა გასცა განკარგულება იმის შესახებ, რომ დანციგის საემისიო ბანკს დამოუკიდებელი უფლებები ენიჭება, როგორც დანციგის სახელმწიფოს ბანკს.

## შვეციის მისიამ იკისრა პოლონეთის ინტერესების წარმომადგენლობა ბერლინში

**ლონდონი**, 2 სექტემბერი (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო იუწყება, შვეციის დიპლომატიურმა მისიამ ბერლინში იკისრა პოლონეთის ინტერესების წარმომადგენლობა გერმანიაში.

## შვეიცარიის ელჩს ეკისრება გერმანიის ინტერესების წარმომადგენლობა ლონდონში

**ლონდონი**, 2 სექტემბერი (საკდესი). შვეიცარიის ლონდონელმა ელჩმა თავისი მთავრობისაგან მიიღო ცნობა, რომ მას ეკისრება გერმანიის ინტერესთა წარმომადგენლობა ლონდონში, თუ გერმანიას იქ თავისი დიპლომატიური წარმომადგენლობა არ ეყოლება. გერმანიის საქმეთა რწმუნებული ჯერ კიდევ ლონდონშია.

## საომარი სამზადისი საფრანგეთში

**ბრიუსელი**, 2 სექტემბერი (საკდესი). პარიზში შესწყდა ავტობუსების მიმოსვლა. მეტროპოლიტენის მატარებლების მიმოსვლა შემცირებულია. მეტროს მთელი რიგი სადგურები აირსაფარად გადააქციეს. სამოქალაქო მოსახლეობას ურჩევენ დასტოვონ პარიზი. ამ მიზნისათვის გადიდებულია პარიზიდან საფრანგეთის შუაგულში მიმავალი მატარებლების რაოდენობა. ამ მატარებლების მიმოსვლა უზრუნველყოფილი იქნება 2 სექტემბრის 24 საათამდე.

## საფრანგეთ-იტალიის საზღვარი ღია რჩება

**ნიუ-იორკი**, 3 სექტემბერი (საკდესი). როგორც იუნაიტედ პრესი მენტონიდან (საფრანგეთი) იუწყება, საფრანგეთ-იტალიის საზღვარი ღია რჩება ნორმალური მოძრაობისათვის.

## პორტუგალიის მთავრობის განცხადება

**ლონდონი**, 3 სექტემბერი (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტოს ლისაბონელი კორესპონდენტი იუწყება, 2 სექტემბერს პორტუგალიის მთავრობამ გამოაცხადა, რომ პორტუგალია ომის შემთხვევაში ნეიტრალური დარჩება.

## საალყო წესები ეგვიპტეში

**ჰელსინკი**, 3 სექტემბერი (საკდესი). კაიროდან იუწყებიან, რომ ეგვიპტეში გამოცხადებულია საალყო წესები.

## იტალიის მთავრობის კომუნიკე

**რომი**, 2 სექტემბერი (საკდესი). როგორც სტეფანის სააგენტო იუწყება, რომში გამოქვეყნდა იტალიის მთავრობის ოფიციალური კომუნიკე მინისტრთა საბჭოს სხდომის შესახებ, რომელიც გუშინ მუსოლინის თავმჯდომარეობით შესდგა.

როგორც კომუნიკეშია ნათქვამი მინისტრთა საბჭომ დაადასტურა, რომ „იტალია არავითარ ინიციატივას არ იკისრებს საომარ მოქმედებაში მონაწილეობის მხრივ".

## გერმანიის ავიაგამანადგურებელი ლიტვის ტერიტორიაზე

**კაუნასი**, 2 სექტემბერი (საკდესი). ლიტვის დეპეშათა სააგენტო იუწყება, რომ გუშინ საღამოს ლიტვის ტერიტორიაზე პოლონეთ-ლიტვის საზღვრის მახლობლად დაეშვა გერმანიის ავიაგამანადგურებელი, რომელმაც ავარია განიცადა. მფრინავი ინტერნირებულია. თვითმფრინავს ლიტვის სამხედრო ხელისუფალნი იცავენ.

## ინგლისისა და საფრანგეთის კონსულები სტოვებენ სლოვაკიას

**ნიუ-იორკი**, 2 სექტემბერი (საკდესი). ბრატისლავიდან მიღებული ცნობების თანახმად, ინგლისისა და საფრანგეთის კონსულები ემზადებიან დასტოვონ სლოვაკია.

## 100.000 ინდოელი ჯარისკაცის გადაყვანა ეგვიპტეში

თურქული გაზეთი „ჟურნალ დორიანის" ეგვიპტელი კორესპონდენტი იუწყება, რომ კარაჩიდან და ბომბეიდან ინდოეთის ჯარს სუეცისაკენ ჰგზავნიან.

პირველ პარტიებთან ერთად ეგვიპტეში ჩამოვიდა 1000 ინგლისელი ოფიცერი, რომლებიც ინდოეთში მსახურობდნენ.

სექტემბრის დამლევამდე განზრახული აქვთ გადაიყვანონ ეგვიპტეში 100.000 ინდოელი ჯარისკაცი. 3 სექტემბერი (საკდესი).



მესაზღვრეები, სოციალისტური შეჯიბრების მოწინავენი ა. პაშკოვი (მარცხნივ) და ვ. კუზნეცოვი საგუშაგოზე (დასავლეთის საზღვარი). საკდესის ფოტოქრონიკა

## მობილიზაცია შვეიცარიაში

**რომი**, 3 სექტემბერი (საკდესი). ბერნიდან იუწყებიან, რომ შვეიცარიაში ჩატარდა საყოველთაო მობილიზაცია. გაწვეულია 400 ათასი კაცი. უნგრეთსა და ბულგარეთში ჩატარებულია მთელი რიგი მოსამზადებელი სამობილიზაციო ღონისძიებანი. ესპანეთმა გადასწყვიტა დაიცვას ნეიტრალიტეტი.

## რეზერვისტების გაწვევა ლიტვაში და ფინეთში

**ჰელსინკი**, 3 სექტემბერი (საკდესი). კაუნასიდან იუწყებიან, რომ მთავრობამ სამხედრო სამსახურში გაიწვია რეზერვისტების 8 ასაკი.

ფინეთის პრესის ბიურო იუწყება, რომ ფინეთის თავდაცვის სამინისტრომ გადასწყვიტა გაიწვიოს რეზერვისტების ზოგიერთი კატეგორია. აღნიშნულია, რომ გაწვეული იქნება რეზერვისტების უმნიშვნელო რაოდენობა.

## პროდუქტების ფასის რეგულირება ლონდონში

**ლონდონი**, 2 სექტემბერი (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო იუწყება, ლონდონის საქონლის ბირჟამ გამოაქვეყნა ცნობა, რომ, ინგლისის სასურსათო სამინისტროს მითითების შესაბამისად, ყველა პროდუქტის ახლანდელი ფასები იმავე დონეზე რჩება მანამდე, სანამ განსაკუთრებული მითითება არ იქნება მიცემული.

## პატიმართა ევაკუაცია ლონდონიდან

**ლონდონი**, 2 სექტემბერი (საკდესი). დღეს ლონდონის პენტონვილის საპყრობილედან გაანთავისუფლეს დიდძალი პატიმარი, რომელთაც მოკლე ვადიანი პატიმრობა ჰქონდათ მისჯილი. ხანგრძლივი ვადით დაპატიმრებულთ ლონდონიდან გაიყვანენ.

## სასამართლო

### ბანდიტთა ბრბოს გასამართლება

5 სექტემბერს ზუგდიდში დაიწყება ბანდიტთა ბრბოს საჩვენებელი პროცესით გასამართლება. ამ ბანდიტთა ბრბოში შედიან—ალექსანდრე გაბრიელის-ძე კილასონია, ხარიტონ ფიდოს-ძე ჯაბუა, ნიკოლოზ ვასილის-ძე ბონდარენკო, ეფიმ მიხეილის-ძე ივაშევი, ივანე მიხეილის-ძე ლეუტინი, ივანე ლეონტის-ძე სიტნიკი, ლიდა ივანეს-ასული კილასონია, ძაძუ ბესარიონის-ძე კილასონია, ბადა ალექსის-ძე თოდუა, კაპიტონ ტაგუს-ძე ჯოჯუა, იროდიონ ვატას-ძე ჯაბუა და გრიგოლ ალექსის-ძე თოდუა.

1938 წლის 2 სექტემბერს მათ წინასწარი მოლაპარაკების შედეგად ჩაიდინეს საზიზღარი დანაშაული, გაძარცვის მიზნით თავს დაესხნენ მეაბრეშუმე ქალს სალომე ჯაბუას, მოჰკლეს იგი და მასთან მყოფი ანა ჯაბუა და 12 წლის მოსწავლე დათიკო კიწურაშვილი, გაძარცვეს ბინა და მიიმალნენ.

იმავე საღამოს მილიციამ დააპატიმრა ბოროტმოქმედთა ბრბოს ორი მონაწილე—ივაშევი და სიტნიკი, რომლებმაც ხლიარეს, რომ აღნიშნული საზიზღარი მკვლელობა მათ წინასწარი განზრახვით ჩაიდინეს, და დაასახელეს თანამონაწილენი. რომლებიც შეპყრობილ იქნენ. ისინიც გამოტყდნენ დანაშაულში.

ბანდიტთა ბრბოს გაასამართლებს საქ. უმაღლესი სასამართლოს გამსვლელი სესია ამხ. ი. სამთელაძის თავმჯდომარეობით და პროკურორ ამხ. გ. შეწირულის მონაწილეობით.

გ. ბ.

## პარტკალენდარი

**საქ. კ. პ. (ბ) საგარეჯოს რაიკომი** აცხადებს, რომ 1936 წ. ნიმუშის პარტბილეთი № 285200—ნინო ილარიონის-ასულ ქევხიშვილის სახელზე, დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

**საქ. კ. პ. (ბ) ლანჩხუთის რაიკომი** აცხადებს, რომ პარტბილეთი № 2846188—კირილე ვასილის-ძე მეგრელაძის სახელზე, დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

## შემთხვევები

**გაუფრთხილებელი სვლის მსხვერპლნი**, 2 სექტემბერს, დღისით ქალაქის მეორე სახანძრო ნაწილის ავტომანქანა, რომელიც პრაქტიკული მეცადინეობიდან ბრუნდებოდა, შოფერის ი. გ. როსტომოვის გაუფრთხილებელი სვლის შედეგად საბჭოთა და ხუდადოვის ქუჩების კუთხეში შეიჭრა ფილაქანზე, სადაც დაეჯახა იქ მდგომ მოქალაქეთა ჯგუფს.

დაჯახების გამო ადგილზევე გარდაიცვალნენ მოქ. ა. სოლოღაშვილი (ბრიგადირის ქ. № 22) და მოქ. მარიამ ქობულაშვილი (კურგანის შეს. № 4). მძიმედ დაშავდნენ მოქ. ს. მინასაშვილი (ბრიგადირის ქ. № 21), მ. სუსუკალოვი (მანტინის ქ. № 8), კ. ვოიტაშევი (სიმართლის ქ. № 23) და ერევნიდან ჩამოსული მოქ. ჩ. ხაჯოიანი.

სამი კაცი მსუბუქად დაშავდა. ყველანი საავადმყოფოში მოათავსეს.

შოფერი როსტომოვი დაპატიმრებულია. სწარმოებს სასწრაფო გამოძიება.

პასუხისმგებელი რედაქტორი
**ვ. ხატიაშვილი**

საქსახესტრადის საზაფხულო თეატრი და ბაღი
(პლეხანოვის პროსპ. № 123. ტელ. 3-18-50)

საზაფხულო თეატრი
4 სექტემბერს მუდმ. ადგ. ტალ. № 99
ხოლოპკა მუს. კომ. 3 მოქმ.
5 სექტემბერს
მუდმ. ადგ. ტალ. № 100
სილვა მუს. კომ. 3 მოქმ.
6 სექტემბერს მუდმ. ადგ. ტალ. № 101
როზ-მარი
სამხ. ხელმძღვანელი ა. ნ. ოლგარი
დასაწყისი საღამოს 9 საათზე.
სალარო ღიაა დილის 11-დან 3 ს-მდე
საღამოს 6-დან 11 საათამდე.

დახურული თეატრი
5 და 6 სექტემბერს
თამარ წერეთელი
სწარმოებს ბილეთების წინასწარ შეძენა

ღია ესტრადა
4 სექტემბერს
ხმოვანი კინოფილმი
დასაწყისი საღამოს 10 საათზე
ბაღში სასულე ორკესტრი ხანაგოვის ხელმძღვანელობით.

სახესტრადა
მალე
ელენა ლემარი
3—3

სახესტრადა
მალე
კემპერის ჯაზი
3—3

სახესტრადა
5 და 6 სექტემბერს
თამარ წერეთელი
3—3

სახესტრადა
მალე
ყუბანის ყაზახები
3—3

რუსთაველის სახელობის ლენინის ორდენოსანი
სახელმწიფო თეატრი
1939-40 წ. წ. სეზონი.

თეატრის სეზონის გახსნასთან დაკავშირებით დირექცია აცხადებს, რომ 7 სექტემბრიდან დაიწყება მუდმივი ადგილების ტალონების გაცემა.
მიღების დროს საჭიროა მუდმივი ადგილების ღირებულების პირველი გადასახდელი და მინდობილობა.
სეზონის გახსნა 20 სექტემბერს 3—1

თანახმად საქ. სსრ ჯანსახკომის ა. წ. ბრძანებისა № 140, ჯანსახკომისარიატის საამშენებლო სამმართველო, როგორც სამეურნეო ორგანიზაცია
ლიკვიდირებულია
პრეტენზიები მიიღება დღიდან გამოქვეყნებისა ორი კვირის განმავლობაში, რის შემდეგ არავითარი პრეტენზიები არ მიიღება.
**მისამართი:** რუსთაველის პროსპ. № 7, მთავრობის სახლი, მე-7 სართული—ჯანსახკომი.
2962 ლიკვიდკომი.

თბილისის ცენტრალური ტელეგრაფი აწარმოებს მოწაფეების მიღებას ტელეგრაფის მოკლევადიან კურსებზე
(ბოდისტები და ტრემლისტები და რადიო).
მიიღებიან პირნი განათლებით არანაკლებ შვიდწლედის ცოდნისა 17 წლის ასაკიდან.
მეცადინეობის ხანგრძლივობა 3 თვეა. სწავლა დაიწყება ა. წ. 15 სექტემბრიდან. მიღებულებს მიეცემათ სტიპენდია. კურსის დამთავრების შემდეგ ჩაირიცხებიან შტატში.
საჭიროა შემდეგი საბუთები: 1. განათლების მოწმობა, 2. მეტრიკული ამონაწერი, 3. ფოტოსურათები სამი ცალი, 4. პასპორტი.
განცხადებების მიღება იწარმოებს ტელეგრაფის კანცელარიაში, სამხედრო ქ. № 4, 10 საათიდან 14 საათამდე.
351 დირექცია.

სსრკ-ის სახკომსაბჭოსთან არსებული ხელოვნების საქმეთა სამმართველო ა. წ. 12 სექტემბერს ქალ. თბილისში ატარებს
ხალხურ მუსიკალურ საკრავებზე შემსრულებელთა საკავშირო დათვალიერების პირველ ტურს.
მეორე და მესამე ტური ჩატარდება ქალ. მოსკოვში ა. წ. სექტემბერში.
დათვალიერებაზე დაიშვებიან ყველა სახის ხალხურ მუსიკალურ საკრავებზე ინდივიდუალური შემსრულებლები.
დათვალიერებაში მონაწილეობის მიღების მსურველებმა უნდა შემოიტანონ განცხადებები არა უგვიანეს 8 სექტემბრისა საქ. ხალხურ შემოქმედების სახლში: თბილისი, მახარაძის ქ. № 8, ტელეფონი № 3-04-29, დილის 10 საათიდან დღის 2 საათამდე.
347 საორგანიზაციო კომისია.

მამა დავით, ძმა ანზორ, მამიდები თამარ, ზინა, გოგოლა, ბიცოლა ნუციკო, ბიძები ალიოშა, პეტრე იუწყებიან დაუვიწყარ პატარა
მიშა (ზაურ) დავითის-ძე ალაშვილის
გარდაცვალებას. გამოსვენება 5/IX 5 ს. ჭავჭავაძის, 39. 2973

მეუღლე მარო, შვილები ელენე, ჩიტო, სიმონ, ძმები ილია, გრიშა, კოლია და ნინო იუწყებიან, რომ 6/IX 4 ს. ქუთაისში საფიჩხის სასაფლაოზე დანიშნულია
პეტრე (პეტია) ნიკიფორეს-ძე ჩხაიძის
პანაშვიდი. 2968

უახლოესი მეგობრები: ლ. აბაშიძე, ა. ბახტაძე, გ. გოგელია, ს. კავკასიძე, მ. კუპრაშვილი, დ. მგელაძე, ი. რამიშვილი, შ. ნარსია მწუხარებით იუწყებიან ბიჭუნა ხოფერიას მამის ექიმ
ივლიანე გაბრიელის-ძე ხოფერიას
გარდაცვალებას. 2971

მშობლები ნატო, გიორგი, ძმა მიშა, დები მარო, ოლიკო, სიძე ა. ჩქარეული, დეიდა ს. ლაზიშვილი იუწყებიან, რომ 6/IX 2 ს. ავლაბრის სასაფლაოზე დანიშნულია ძვირფას
შალვა გიორგის-ძე ძამაშვილის
პანაშვიდი. 2972

შვილები ფატმან, თამარ, მაგდა, ვახტანგ გოკიელები, სიძეები, დოდო ანთაძე, დავით ქილარჯიშვილი იუწყებიან, რომ 6/IX 2 ს. ვერის სასაფლაოზე დანიშნულია
ელისაბედ ალექსის-ასულ გოკიელის
სამოქალაქო პანაშვიდი. 2974

დამწუხრებული მშობლები ოლია, ანტონ, ძმები ალიოშა, გრიშა კუპრაძეები იუწყებიან, რომ 6/IX 3 ს. კუკიის სასაფლაოზე დანიშნულია ძვირფას და დაუვიწყარ
ვერა კუპრაძის
სამოქალაქო პანაშვიდი. 2970

ბიძა დავით, ძალო სოფიო, ბიძაშვილები მარო და ნინო ძამაშვილები იუწყებიან, რომ 6/IX 2 ს. ავლაბრის სასაფლაოზე დანიშნულია მათთვის საყვარელ
შალვა გიორგის-ძე ძამაშვილის
სამოქალაქო პანაშვიდი. 2972

მეუღლე მარგალიტა, შვილები ოთარ, აჩიკო, დედა ოლღა, ძმები აბო, ვასო, იოსებ გოგიჩაძეები იუწყებიან, რომ 6/IX 2 ს. კუკიის სასაფლაოზე დანიშნულია დაუვიწყარ
ნიკოლოზ ისმაილის-ძე გოგიჩაძის
პანაშვიდი. 2966

მეუღლე ოლღა, შვილები ნინო, ბიჭუნა, რძალი მარსელიკო, შვილიშვილი ხანა, გაზრდილები ეპიტია, თებრო, ილარიონ იუწყებიან ექიმ
ივლიანე გაბრიელის-ძე ხოფერიას
გარდაცვალებას. დაკრძალვა ქ. ცხაკაიაში 6/IX. 2967

ცოლი ჭეჭუ, ძმები კალისტრატე, ილიკო, სერგო, რაფო იუწყებიან, რომ 6 სექტემბერს 5½ ს. კუკიის სასაფლაოზე დანიშნულია დაუვიწყარ
აპოლონ კონსტანტინეს-ძე ცინცაძის
სამოქალაქო პანაშვიდი. 2969

რედაქციისა და გამომცემლობის მისამართი: თბილისი, ლენინის ქუჩა № 28, ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის—3—08—67, პ.-მგ. მდივნის მოადგილისა—3—06—88, განყოფილებებისა: პარტიულის—3—57—61, პროპაგანდის და პრესის მიმოხილვის—3—81—84, სასოფლო-სამეურნეოს—3—73—40, საბჭოთა მშენებლობის და განათლება-ჯანმრთელობის—3—80—83, მრეწველობისა და ინფორმაციის—3—80—84, წერილების—3—73—24, 3—80—81. პ.-მ. მორიგის—3—81—65, გამომცემლობის—3—51—81, სტამბის დირექტორის—3—77—70, ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ამხ. ს. თოდრიას სახელობის სტამბა „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 28.
მთავლიტის რწმუნებული ა—1741